სამეცნიერო-პრაქტიკული ელექტრონული ჟურნალი

ბალანსებში

იანვარი №2

- ოფიციალური დოკუმენტები
- დაბეგვრის თეორია და მეთოდოლოგია
- დაბეგვრის პრაქტიკა
- ფინანსები, აღრიცხვა და აუდიტი
- ხელშეკრულებები საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობაში კომენტარებით
- კითხვა-პასუხები

2019

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ფინანსური და საქართველოს ინფორმაციის ცენტრი

გთავაზობთ:

- ბუღალტრული და საგადასახადო აღრიცხვა-ანგარიშგების სქემების დამუშავებას და ბუღალტრული და საგადასახადო აღრიცხვის აწყობას ახლადშექმნილ და მოქმედ კომპანიებში
- ბუღალტრული და საგადასახადო აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოებას ხელშეკრულებით
- კომპანიის საქმიანობის ფინანსურ ანალიზს და ფინანსური გაჯანსაღების ღონისძიებების დაგეგმვას
- ექსპორტ-იმპორტის საგადასახადო კონცეფციის შემუშავებას

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

gamomcemeli: Sps `biznes inteleqti~
Publisher: Business Intellect Ltd.

UDC (uak) 336.2+336.14(051.2)
g-145

referirebadi da recenzirebadi samecniero-praqtikuli el.Jurnali
`gadasaxadebi~
registrirebulia #04-06/65, 10.08.2009 / **Registred** #04-06/65, 10.08.2009
Referred and reviewed scientific & practical e.magazine `Gadasakhadebi~

mTavari redaqtori:
daviT jalaRonia,
sruli profesori
Chief Editor:
David Jalaghonia, Full Professor

pasuxismgebeli mdivani
marine xubua, asocirebuli profesori
Executive Secretary:
Marine Khubua, Associated Professor

redaqtori: madona gelaSvili
asocirebuli profesori
Editor:
Madona Gelashvili, Associated Professor

teqnikuri redaqtori:
naziko gomelauri
Technical Editor: Naziko Gomelauri
koreqtori: rusiko papaskiri
asocirebuli profesori
Corrector:
Rusiko Papaskiri, Associated Professor

marketolog-konsultanti:
devi Sonia, asocirebuli profesori
Marketing Consultant:
Devi Shonia, Associated professora

iurist-konsultanti:
elgujaqavTaraZe, asocirebuli profesori
Legal Advisor:
Elguja Kavtaradze, Associated Professor

saredaqcio kolegia
EDITORIAL BOARD
Tavmjdomare: profesori daviT jalaRonia
Chairman: **professor David Jalagonia**

ekonomikur mecnierebaTa doqtorebi, profesorebi:
Doctors of Economics, Professors:

zaur amilaxvari	Zaur Amilakhvari
rezo gvelesiani	Rezo Gvelesiani
simon gelaSvili	Simon Gelashvili
irma dixaminjia	Irma Dikhaminjia
kaxaber eraZe	Kakhaber Eradze
SoTa veSapiZe	Shota Veshapidze
larisa TakalanZe	Larisa Takalandze
zurab lipartia	Zurab Lipartia
iakob mesxia	Iakob Meskhia
vladimer Rlonti	Vladimer Ghlonti
zaira RuduSauri	Zaira Gudushauri
Temur Sengelia	Temur Shengelia
mixeil CikvilaZe	Mikheil Chikviladze
nodar xaduri	Nodar Khaduri
elene xarabaZe	Elene Kharabadze
rezo xarebava	Rezo Kharebava
nanuli ZimceiSvili	Nanuli Dzimceishvili

anJelika krutova - xarkovi, ukraina
Angelica Krutova - Kharkiv, Ukraine
kerimovi elsever nariman oRli - baqo, azerbaijani
Kerimov Elsever Nariman Ogli - Baku, Azerbaijan

el. Jurnali ,,gadasaxadebi~ registrirebulia
s.k. 404941300
E. Magazine "GADASAKHADEBI" (Taxes) is registered
ID code: 404941300

mimRebi: Sps 'biznes inteleqti~
mimRebis IBAN angariSis #GE67TB332136020100005
mimRebis banki: s.s `Tibisi~ banki
bankis kodi: TBCBGE22

Beneficiary's name: **Business Intellect Ltd**
BEN'S ACCOUNT - GE67TB332136020100005
Beneficiary Bank: TBC BANK, GEORGIA
BANK KODE - TBCBGE22

T/Fax: 00995 32 2307851 , mob/Mob:00995 5 93 79 10 77

redaqciis azri SesaZloa ar emTxveodes avtorisas. statiaSi moyvanili faqtebisa da monacemebis sizusteze pasuxismgebelia avtori.

Author's opinion may differ from the one of the Editorial Board. Accuracy of the facts and data provided in the article is the responsibility of author

gamodis TveSi orjer, fasi 4 lari / MONTHLY MAGAZINE, PRICE: GEL 4 **ISSN 1987-9156**

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

sarCevi / **Table of contents**

oficialuri dokumentebi / **Formal documents**

oficialuri dokumentebi ---------- 5-43

Semosavlebis samsaxuris brZaneba / **Revenue Service command** ----
---------- ----44-45

situaciuri saxelmZRvanelobebi / **Situational manuals** ----- 45-49

kiTxva - pasuxi / **Questions and answers** ---------- 50-55

auqcioni / **Auqcion** ---------- 56

gadasaxadebi #2, 2019

GADASAKHADEBI #2, 2019

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №8

2019 წლის 28 იანვარი, ქ. თბილისი

„რეფერალური მომსახურების“ ფარგლებში შესაბამისი სამედიცინო დახმარების გაწევის შესახებ გადაწყვეტილების მიღების მიზნით კომისიის შექმნისა და მისი საქმიანობის წესის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 3 ნოემბრის №331 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „რეფერალური მომსახურების“ ფარგლებში შესაბამისი სამედიცინო დახმარების გაწევის შესახებ გადაწყვეტილების მიღების მიზნით კომისიის შექმნისა და მისი საქმიანობის წესის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 3 ნოემბრის №331 დადგენილებაში (სსმ, №146, 10/11/2010) შეტანილ იქნეს ცვლილება და:

1. **დადგენილების**:

ა) პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი** 1. „რეფერალური მომსახურების“ ფარგლებში შესაბამისი სამედიცინო დახმარების გაწევის შესახებ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების ხელშეწყობის მიზნით, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში (შემდგომში – სამინისტრო) იქმნება კომისია (შემდგომში – კომისია), რომლის შემადგენლობა და საქმიანობის პრინციპები განისაზღვრება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის (შემდგომში – მინისტრი) ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.“;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ბ) მე-3 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი** 3. სამინისტრომ უზრუნველყოს შესაბამისი სამართლებრივი აქტების ამ დადგენილებასთან შესაბამისობაში მოყვანა.“.

2. **დადგენილებით დამტკიცებული „კომისიის საქმიანობის წესის“**:

ა) **მე-2 მუხლის**:

ა.ა) **პირველი პუნქტის**:

ა.ა.ა) **„გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„გ) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სპეციალური პენიტენციური სამსახურის პოლიციელი ან სამხედრო მოსამსახურე;“;

ა.ა.ბ) **„ვ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„ვ) ფილტვების იდიოპათური ფიბროზის დიაგნოზის მქონე საქართველოს მოქალაქეები (საქართველოს მოქალაქეებში იგულისხმებიან საქართველოს მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტის (მათ შორის, 18 წლამდე ასაკის ბავშვების შემთხვევაში – პირადი ნომერი ან დაბადების მოწმობა), პირადობის ნეიტრალური მოწმობის, ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მქონე პირები, საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირები, საქართველოში თავშესაფრის მაძიებელი პირები, ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირები), შესაბამისი სახელმწიფო პროგრამით დაფარვამდე/სახელმწიფო პროგრამის პირობების უზრუნველყოფამდე;“;

ა.ა.გ) **„ზ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„ზ) HER-2 რეცეპტორ-დადებითი ადრეული ძუძუს კიბოს დიაგნოზის და HER-2 რეცეპტორ-დადებითი ძუძუს მეტასტაზური კიბოს დიაგნოზის მქონე საქართველოს მოქალაქის დამადასტურებელი დოკუმენტის (მათ შორის, 18 წლამდე ასაკის ბავშვების შემთხვევაში – პირადი ნომერი ან დაბადების მოწმობა), პირადობის ნეიტრალური მოწმობის, ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მქონე პირები, საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირები, საქართველოში თავშესაფრის მაძიებელი პირები, ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირები, გარდა ქ. თბილისსა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში რეგისტრირებული პირებისა;“;

ა.ბ) **მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

„3. ამ მუხლის მიზნებისათვის, სიტყვები – „სახელმწიფო პროგრამა“ გულისხმობს სამინისტროსათვის შესაბამისი წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნების ფარგლებში დაფინანსებულ პროგრამებს, ხოლო საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სპეციალური პენიტენციური სამსახურის პოლიციელის ან სამხედრო მოსამსახურის შემთხვევაში – ასევე შესაბამისი უწყების მიერ დაფინანსებულ სადაზღვევო პირობებს.“;

ბ) მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის:

ბ.ა) „ა.ა.ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა.ა.ბ) მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული სააღმზრდელო საქმიანობის განმახორციელებელი დაწესებულებების, დედათა და ბავშვთა თავშესაფრებისა და სათემო ორგანიზაციების ბენეფიციარები;“;

ბ.ბ) „ა.ა.გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა.ა.გ) სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ – ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის ტერიტორიულ ერთეულებში (ფილიალებში):

ა.ა.გ.ა) ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებებში, ხანდაზმულთა და შშმ პირთა პანსიონატებში მცხოვრები ბენეფიციარები;

ა.ა.გ.ბ) რეინტეგრაციაში ან მინდობით აღზრდაში მყოფი ბავშვები, რომელთა გამოც ოჯახები იღებენ რეინტეგრაციის შემწეობას ან შვილობილად აყვანის (მინდობით აღზრდის) ანაზღაურებას;“;

გ) მე-4 მუხლის 1^1 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1^1. საქართველოს ფარგლებს გარეთ მკურნალობის/დიაგნოსტიკის მოთხოვნის შემთხვევაში, კომისიის მიერ განსახილველი დოკუმენტაცია ეგზავნება სამინისტროს შესაბამისი დარგის ექსპერტს, საქართველოს ფარგლებს გარეთ მკურნალობის აუცილებლობის თაობაზე დასკვნისათვის.“;

დ) მე-6 მუხლის მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„7. კომისიის სხდომების ორგანიზაციულ-ტექნიკურ უზრუნველყოფას ახორციელებს სამინისტრო, რომელიც უზრუნველყოფს:

ა) განმცხადებელთა ინფორმირებას აუცილებელი დოკუმენტების წარდგენის შესახებ;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ბ) განმცხადებლის მიერ წარდგენილი დოკუმენტების მიღებას, აღრიცხვასა და ამ წესის მე-4 მუხლის მე-2 პუნ-ქტთან შესაბამისობის დადგენას;

გ) მიღებული გადაწყვეტილების შესახებ დაინტერესებული პირების ინფორმირებას ზეპირად, ტექნიკური სა-შუალების გამოყენებით ან წერილობითი ფორმით.";

ე) მე-7 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. განაცხადის ფორმა, ამ წესის მე-2 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პირებისათვის მომსახურების მოცულობა და დაფინანსების მექანიზმი, აგრეთვე ამ პროგრამის ადმინისტრირებასთან დაკავშირებული სხვა საკითხები, რომლებიც არ რეგულირდება ამ დადგენილებით, დამატებით შესაძლებელია, დარეგულირდეს მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.".

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ - მინისტრი

მამუკა ბახტაძე

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №16

2019 წლის 28 იანვარი, ქ. თბილისი

„აწარმოე საქართველოში" სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 მაისის №365 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „აწარმოე საქართველოში" სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 მაისის №365 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 03/06/2014, 240140000.10.003.017985) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში" 12^{21} მუხლის:

1. „ბ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

„ბ) **მეწარმე სუბიექტი** – აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში ან ცხინვალის რეგიონში (ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიებზე) ლეგიტიმურად მცხოვრები 18 წელს მიღწეული ფიზიკური პირი, აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული მეწარმე სუბიექტი, რომელიც საქმიანობას ლეგიტიმურად ახორციელებს აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში ან ცხინვალის რეგიონში (ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიებზე) „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტით, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით და/ან საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი წესით, აგრეთვე 18 წელს მიღწეული საქართველოს მოქალაქე ფიზიკური პირი და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული მეწარმე სუბიექტი, რომელიც საქმიანობას ახორციელებს საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე;“.

2. „ი“ **ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„ი) **საკონკურსო კომისია** – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატისა და სააგენტოს წარმომადგენლებით დაკომპლექტებული კომისია, რომელიც განსაზღვრავს პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელ ეტაპებს, მათი ჩატარების ვადებს, პირობებსა და პროცედურებს, მათ შორის, დაფინანსების პირობებს, საერთაშორისო ორგანიზაციის ან/და საერთაშორისო აუდიტორული კომპანიის საშუალებით მონიტორინგის განხორციელების პირობებსა და პროცედურას, შეფასების კრიტერიუმებს, ახდენს პროგრამის შემდგომი გაუმჯობესების იდენტიფიცირებასა და რეკომენდაციების შემუშავებას; ახორციელებს პროგრამის ბენეფიციარის/პროგრამის ბენეფიციართა ჯგუფის შერჩევის პროცედურას და იღებს გადაწყვეტილებას დაფინანსების თაობაზე. კომისიის შემადგენლობასა და საქმიანობის წესს ამტკიცებს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი (კომისიის თავმჯდომარე);“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე

პრემიერ - მინისტრი

მამუკა ბახტაძე

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №17

2019 წლის 28 იანვარი, ქ. თბილისი

„ტექნიკური რეგლამენტის – „გარემოსთვის მიყენებული ზიანის განსაზღვრის (გამოანგარიშების) მეთოდიკა“ დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის №54 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „ტექნიკური რეგლამენტის – „გარემოსთვის მიყენებული ზიანის განსაზღვრის (გამოანგარიშების) მეთოდიკა“ დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის №54 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 17/01/2014, 300160070.10.003.017673) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის მე-9 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. წიაღის უბანზე წიაღით სარგებლობის სამართლებრივი ნორმების დარღვევის, ასევე ბუნებრივი ან ტექნოგენური ფაქტორების ზემოქმედებით გამოწვეული სტიქიური უბედურებების შედეგად სასარგებლო წიაღისეულის საბადოებსა და გამოვლინებებზე შეუქცევადი ბუნებრივი პროცესების განვითარების შემთხვევაში, რამაც გამოიწვია მიწისქვეშა წყლების დაშრეტა ან/და სხვა სასარგებლო წიაღისეულის საბადოებისა და გამოვლინებების გაუვარგისება (მოსპობა), გარემოსათვის მიყენებული ზიანის ოდენობის დადგენა ხორციელდება გარემოზე მიყენებული ზიანის დამდგენი კომისიის მიერ, რომელიც, კომპეტენციის შესაბამისად, სპეციალურად იქმნება საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის ან საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის გადაწყვეტილებით.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ - მინისტრი

მამუკა ბახტაძე

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №21

2019 წლის 28 იანვარი, ქ. თბილისი

„პროფესიული განათლების დაფინანსების წესისა და პირობების განსაზღვრისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის საფასურის მაქსიმალური ოდენობის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 19 სექტემბრის №244 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის №667 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „პროფესიული განათლების დაფინანსების წესისა და პირობების განსაზღვრისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის საფასურის მაქსიმალური ოდენობის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 19 სექტემბრის №244 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის №667 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 31/12/2018, 430030000.10.003.020984) შეტანილ იქნეს ცვლილება და პირველი მუხლის მე-2 პუნქტის პრეამბულა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. 2^1 მუხლით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ, სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემადგენელი მოდულების საფასურის მაქსიმალური ოდენობის (დანართი №3) 1325 – 1336 გრაფები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და გავრცელდეს 2018 წლის 3 დეკემბრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

პრემიერ - მინისტრი

მამუკა ბახტაძე

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №23

2019 წლის 28 იანვარი, ქ. თბილისი

„საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭოს შექმნის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 31 მარტის №171 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭოს შექმნის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 31 მარტის №171 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 31/03/2017, 010240030.10.003.019880) შეტანილ იქნეს ცვლილება და პირველი მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. შეიქმნას საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭო (შემდგომში – საბჭო) შემდეგი შემადგენლობით:

საქართველოს ფინანსთა მინისტრი	საბჭოს თავმჯდომარე
საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილე	საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე
საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილე	საბჭოს წევრი
საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო და საბაჟო პოლიტიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი	საბჭოს წევრი
საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დავების განხილვის სამსახურის ხელმძღვანელი	საბჭოს წევრი
საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დავების განხილვის სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე	საბჭოს წევრი
საქართველოს ფინანსთა სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის ხელმძღვანელი	საბჭოს წევრი
საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო და საბაჟო პოლიტიკის დეპარტამენტის საგადასახადო პოლიტიკის ფორმირების სამმართველოს ხელმძღვანელი	საბჭოს წევრი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს წარმომადგენელი	საბჭოს წევრი
საქართველოს ბიზნესომბუდსმენის წარმომადგენელი	საბჭოს წევრი
საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის წარმომადგენელი	საბჭოს წევრი
სსიპ – კონკურენციის სააგენტოს წარმომადგენელი	საბჭოს წევრი
ა(ა)იპ – საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის წარმომადგენელი	საბჭოს წევრი
ა(ა)იპ – საქართველოს ბიზნესასოციაციის წარმომადგენელი	საბჭოს წევრი.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ - მინისტრი

მამუკა ბახტაძე

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №24

2019 წლის 29 იანვარი, ქ. თბილისი

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საჯარო და კერძო თანამშრომლობის სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 5 სექტემბრის №452 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, შეტანილ იქნეს ცვლილება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საჯარო და კერძო თანამშრომლობის სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 5 სექტემბრის №452 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 6/09/2018, 040030000.10.003.020768) და დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

„1. სააგენტოს ხელმძღვანელობს სააგენტოს თავმჯდომარე (შემდგომში – თავმჯდომარე), რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრემიერ-მინისტრი.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ - მინისტრი

მამუკა ბახტაძე

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №27

2019 წლის 30 იანვარი, ქ. თბილისი

„საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის №654 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის №654 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge; 28/12/2018, 340170000.10.003.020969) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცედურებისა და კრიტერიუმების“:

1. **პირველი მუხლის**:

ა) **პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

„1. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო (შემდგომში – სამინისტრო) მოსახლეობის რაოდენობის თაობაზე სსიპ – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე (გარდა მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციული ცენტრებისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული მუნიციპალიტეტების დასახლებების მოსახლეობისა) ახორციელებს თითოეული დასახლებისთვის განსაზღვრული თანხის გაანგარიშებას.“;

ბ) პირველი პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 1^1 პუნქტი:

„1^1. იმ შემთხვევაში, თუ სსიპ – საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურს არ გააჩნია ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია, მაგრამ დასახლება რეგისტრირებულია სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მუნიციპალიტეტების რეესტრში, შესაბამისი მუნიციპალიტეტის მერი უზრუნველყოფს ამ დასახლებაში დასახლების საერთო კრების/რეგისტრირებულ ამომრჩევლებთან კონსულტაციების ჩატარების ორგანიზებას და დასახლების საერთო კრების ოქმს/რეგისტრირებულ ამომრჩეველთან კონსულტაციის შედეგად მიღებული გადაწყვეტილების, დასახლებაში არსებული მოსახლეობის რაოდენობის შესახებ ინფორმაციასთან ერთად სამინისტროსათვის წარდგენას.“;

გ) მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული თანხის გაანგარიშება ხორციელდება შემდეგი პრინციპის დაცვით:

ა) დასახლებას, რომელშიც მაცხოვრებელთა რაოდენობა შეადგენს არაუმეტეს 200 მაცხოვრებელს, გამოეყოფა 10 000 ლარი;

ბ) დასახლებას, რომელშიც მაცხოვრებელთა რაოდენობა შეადგენს 201-დან 400 მაცხოვრებელს, გამოეყოფა 12 000 ლარი;

გ) დასახლებას, რომელშიც მაცხოვრებელთა რაოდენობა შეადგენს 401-დან 1 000 მაცხოვრებელს, გამოეყოფა 16 000 ლარი;

დ) დასახლებას, რომელშიც მაცხოვრებელთა რაოდენობა აღემატება 1 000 მაცხოვრებელს, გამოეყოფა 20 000 ლარი.“;

დ) მე-3 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 3^1 პუნქტი:

„3^1. სამინისტრო, ამ მუხლის 1^1 პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში, ამ მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, დასახლებებისთვის განსაზღვრული თანხის გაანგარიშების შემდეგ დამატებით ამზადებს შესაბამის ინფორმაციას, რომელშიც აისახება მუნიციპალიტეტებისთვის დამატებით გამოსაყოფი თანხის რაოდენობა და უგზავნის საქართველოს ფინანსთა სამინისტროს.“;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ე) მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ამ მუხლის მე-3 და 3^1 პუნქტებით გათვალისწინებული ინფორმაციის საფუძველზე ამზადებს საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტისათვის თანხის განსაზღვრის თაობაზე საქართველოს მთავრობის განკარგულების პროექტს და დასამტკიცებლად წარმოუდგენს საქართველოს მთავრობას.“;

ვ) მე-11 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 11^1 პუნქტი:

„11^1. შესაბამისი დასახლებების საერთო კრებების მიერ ან რეგისტრირებულ ამომრჩეველთან გამართული კონსულტაციის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილებების შესაბამისად, შესაძლებელია სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ამ დასახლებებისთვის გამოყოფილი თანხა, მათი საერთო საჭიროებებიდან გამომდინარე, გამოყენებულ იქნეს საერთო პროექტის დასაფინანსებლად.“.

2. პირველ მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-14 პუნქტი:

„14. „მაღალმთიან დასახლებათა ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 დეკემბრის №671 დადგენილებით დამტკიცებულ მაღალმთიან დასახლებათა ნუსხაში შემავალი დასახლებებისათვის ამ მუხლის მე-13 პუნქტით დადგენილი ვადა განისაზღვრება მიმდინარე წლის 1 მაისამდე პერიოდით.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ - მინისტრი

მამუკა ბახტაძე

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის ერთობლივი

ბრძანება №01-7ნ–№11

2019 წლის 22 იანვარი

2019 წლის 29 იანვარი

ქ. თბილისი

„ჩვილ ბავშვთა კვების პროდუქტებისა და ბავშვთა ჰიგიენის ნაწარმის ნუსხის დამტკიცების შესახებ, რომელთა მიწოდება ან/და იმპორტი გათავისუფლებულია დამატებითი ღირებულების გადასახადისაგან“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 5 იანვრის №2/ნ–№5 ერთობლივ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებთ**:

მუხლი 1

„ჩვილ ბავშვთა კვების პროდუქტებისა და ბავშვთა ჰიგიენის ნაწარმის ნუსხის დამტკიცების შესახებ, რომელთა მიწოდება ან/და იმპორტი გათავისუფლებულია დამატებითი ღირებულების გადასახადისაგან“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 5 იანვრის №2/ნ–№5 ერთობლივ ბრძანებაში (www.matsne.gov.ge; 060111, 06/01/2011; 470230000.22.035.016039) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. **ბრძანების**:

ა) სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ჩვილ ბავშვთა კვების პროდუქტებისა და ბავშვთა ჰიგიენის ნაწარმის ნუსხის დამტკიცების შესახებ, რომელთა მიწოდება ან/და იმპორტი გათავისუფლებულია დამატებული ღირებულების გადასახადისაგან“;

ბ) პირველი პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) „ჩვილ ბავშვთა კვების პროდუქტების ნუსხა, რომელთა მიწოდება ან/და იმპორტი გათავისუფლებულია დამატებული ღირებულების გადასახადისაგან“ (დანართი 1);

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ბ) „ბავშვთა ჰიგიენის ნაწარმის ნუსხა, რომელთა მიწოდება ან/და იმპორტი გათავისუფლებულია დამატებული ღირებულების გადასახადისაგან (დანართი 2).“.

2. ბრძანებით დამტკიცებული №1 დანართი (ჩვილ ბავშვთა კვების პროდუქტების ნუსხა, რომელთა მიწოდება ან/და იმპორტი გათავისუფლებულია დამატებითი ღირებულების გადასახადისაგან) ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

3. ბრძანებით დამტკიცებული №2 დანართის (ბავშვთა ჰიგიენის ნაწარმის ნუსხა, რომელთა მიწოდება ან/და იმპორტი გათავისუფლებულია დამატებითი ღირებულების გადასახადისაგან):

ა) სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბავშვთა ჰიგიენის ნაწარმის ნუსხა, რომელთა მიწოდება ან/და იმპორტი გათავისუფლებულია დამატებული ღირებულების გადასახადისაგან“ (დანართი №2)“;

ბ) შენიშვნის პირველი და მე-2 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ნუსხაში შემავალი საქონელი წარმოადგენს ჰიგიენის ნაწარმს 0-დან 3 წლამდე ასაკის ბავშვთათვის, რომელიც საბითუმო და საცალო წესით მიწოდებისას მარკირებულია ასეთად. ტერმინი „მარკირებულია ასეთად“ ნიშნავს, რომ საქონელზე ან/და მის შეფუთვაზე დატანილი სიტყვები ან/და ციფრები ან/და გამოსახულება მიანიშნებს, რომ საქონლის გამოყენების მინიმალური ასაკობრივი ზღვარი ნაკლებია 3 წელზე. ამასთან, საქონელზე ან/და მის შეფუთვაზე მხოლოდ გამოსახულების დატანის შემთხვევაში, აუცილებელია მწარმოებლის წერილობითი დასტურის წარდგენა, საქონლის გამოყენების მინიმალური ასაკობრივი ზღვარის მითითებით.

2. დღგ-ის გადასახადისაგან თავისუფლდება ნუსხით წარმოდგენილი, სეს ესნ-ის თერთმეტნიშნა ქვესუბპოზიციის საქონლის – 0-დან 3 წლამდე ასაკის ბავშვთათვის განკუთვნილი ჰიგიენის ნაწარმის მიწოდება ან/და იმპორტი, რომელიც საბითუმო და საცალო წესით მიწოდებისას მარკირებულია ასეთად.“.

მუხლი 2

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა,

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი

დავით სერგეენკო

საქართველოს ფინანსთა მინისტრი

ივანე მაჭავარიანი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

დანართი №1

ჩვილ ბავშვთა კვების პროდუქტების ნუსხა, რომელთა მიწოდება ან/და იმპორტი გათავისუფლებულია დამატებული ღირებულების

სეს ესნ კოდი	საქონლის დასახელება
0402 29 110 00	ა) დედის რძის ჩამნაცვლებელი ადაპტირებული ნარევები; ბ) რძე და რძის პროდუქტები.
0403	მაწონი, იოგურტი, კეფირი, ფერმენტირებული ან შედედებული რძე და ნაღები
1602 10 001 00	ცხოველების, ფრინველების და თევზის ხორცის შემცველი პროდუქტები
1901 10 000 00	ბავშვთა კვება, საცალო ვაჭრობისათვის დაფასოებული
1905	ნამცხვარი და ორცხობილა
2005 10 001 00	ხილის, ბოსტნეულის და მარცვლეულის შემცველი ნარევები
2007 10 101 00	ჯემი, ხილის ჟელე, მარმელადები, ხილის ან კაკლის პიურე, ხილის ან კაკლის პასტა, თბური დამუშავებით მიღებული, მათ შორის, შაქრის ან სხვა დამატკბობელი ნივთიერებების დამატებით
2007 10 911 00	ბავშვთა კვებისათვის
2007 10 991 00	ბავშვთა კვებისათვის
2009	წვენები
2101 20 920 00	ჩაი
2106 90 980 03*	ბიოლოგიურად აქტიური დანამატები ბალანსირებული კვებისათვის
2106 90 980 09	ა) ამინომჟავის ფორმულაზე დამზადებული ჰიპოალერგიული საკვები; ბ) რძის ცილის ინტენსიური ჰიდროლიზის შედეგად მიღებული საკვები.
0811; 0909; 1211; 2106	„მცენარეული ჩაი“
2104 20 001 00	მზა წვნიანები და ბულიონები და ნამზადები მათ მოსამზადებლად; ჰომოგენიზებული შედგენილი მზა საკვები პროდუქტები
3004 90 990 00	ნაყენები

შენიშვნა:

1. ნუსხაში შემავალი საქონელი წარმოადგენს 12 თვემდე ასაკის ბავშვთა (ჩვილ ბავშვთა) კვების პროდუქტებს, რომლებიც საბითუმო და საცალო წესით მიწოდებისას მარკირებულია ასეთად. ტერმინი „მარკირებულია ასეთად“ ნიშნავს, რომ პროდუქტის ეტიკეტზე სიტყვებით და ციფრებით გამოხატული ასაკი, რომლის შემდეგაც ბავშვისათვის შეიძლება ამ პროდუქტის მიღება, ნაკლებია 12 თვეზე.

2. დღგ-ის გადასახადისაგან თავისუფლდება ნუსხით წარმოდგენილი, სეს ესნ-ის თერთმეტნიშნა ქვესუბპოზიციის, ასევე 0811, 0909, 1211, 2106 სასაქონლო პოზიციებში შემავალი მცენარეული ჩაის, 0403, 1905 და 2009 სასაქონლო პოზიციებში შემავალი საქონლის – 12 თვემდე ასაკის ბავშვთა (ჩვილ ბავშვთა) კვების პროდუქტების, მიწოდება ან/და იმპორტი, რომელიც საბითუმო და საცალო წესით მიწოდებისას მარკირებულია ასეთად. სეს ესნ-ის 2106 90 980 09 სასაქონლო ქვესუბპოზიციაში შემავალი საქონლის იმპორტის დღგ-ისაგან გათავისუფლებისათვის ასევე აუცილებელია შესრულებული იყოს შემდეგი პირობები:

ა) ეტიკეტზე განთავსებული უნდა იყოს ინფორმაცია, რომ საქონელი წარმოადგენს ამინომჟავის ფორმულაზე დამზადებულ ჰიპოალერგიულ საკვებს ან რძის ცილის ინტენსიური ჰიდროლიზის შედეგად მიღებულ საკვებს;

ბ) სასაქონლო ოპერაციის განსაზღვრისას, საგადასახადო ორგანოს უნდა წარედგინოს მწარმოებლის წერილობითი დასტური, რომ საქონელი წარმოადგენს ამინომჟავის ფორმულაზე დამზადებულ ჰიპოალერგიულ საკვებს ან რძის ცილის ინტენსიური ჰიდროლიზის შედეგად მიღებულ საკვებს.

3. 2106 90 980 03* – ბიოლოგიურად აქტიური დანამატები ბალანსირებული კვებისათვის, რომელიც

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №15

2019 წლის 30 იანვარი, ქ. თბილისი

„მიმდინარე კონტროლის პროცედურების ჩატარების, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ჩამოწერის, აღიარებული საგადასახადო დავალიანების დაფარვის, საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელების, სამართალდარღვევათა საქმისწარმოების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №994 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

„მიმდინარე კონტროლის პროცედურების ჩატარების, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ჩამოწერის, აღიარებული საგადასახადო დავალიანების დაფარვის, საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელების, სამართალდარღვევათა საქმისწარმოების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №994 ბრძანებით (სსმ III, 31.12.2010, №172, სარეგისტრაციო კოდი: 200090000.22.033.016105) დამტკიცებულ წესში შეტანილ იქნეს ცვლილება და 69-ე მუხლის მე-7 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) საქონელზე ან/და სატრანსპორტო საშუალებაზე დასრულებულია განკარგვის პროცედურები „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოსათვის განსაკარგავად გადაცემული ქონებისა და სახელმწიფოს საკუთრებაში მიქცეული მოძრავი ქონების საფასურის განსაზღვრის, ამ ქონების აღრიცხვის, შენახვის, შეფასებისა და განკარგვის წესისა და პირობების, აგრეთვე პრივატიზების, რეალიზაციისა და ლიზინგის ფორმით გადაცემის შედეგად ამონაგები თანხის განაწილების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2016 წლის 15 ივნისის №125 ბრძანების შესაბამისად და არ არსებობს ამ პროცედურების შეჩერების ან შედეგების გაუქმების სამართლებრივი საფუძველი, პირს/გადასახადის გადამხდელს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ უბრუნდება საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების რეალიზაციის შედეგად მიღებული თანხა, საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოსათვის საგადასახადო ორგანოს წერილობითი მიმართვით წარდგენილი საგადასახადო დავის განმხილველი ორგანოს ან სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების საფუძველზე.“.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი

ივანე მაჭავარიანი

საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №16

2019 წლის 30 იანვარი, ქ. თბილისი

„ბიუჯეტის შემოსულობების სახაზინო კოდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 22 ნოემბრის №1226 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

„ბიუჯეტის შემოსულობების სახაზინო კოდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 22 ნოემბრის №1226 ბრძანებით (სსმ III, 29.11.2007წ., №169, მუხლი 1871) დამტკიცებულ დანართ №2-ში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. ბიუჯეტის განმკარგველის – 355 – სსიპ „საპენსიო სააგენტოს“ შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის ბიუჯეტის განმკარგველები:

356	0968	ა(ა)იპ „საქართველოს კულტურის პალატა“
357	0969	სსიპ „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიისა და ტელეხელოვნების საზოგადოებრივი კოლეჯი“

2. ბიუჯეტის განმკარგველის – 1454 – „ა(ა)იპ „ვანის მუნიციპალიტეტის სასპორტო დაწესებულებათა გაერთიანებას“ – შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის ბიუჯეტის განმკარგველი:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

1455	5095	ა(ა)იპ „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის პარკირების მართვის ცენტრი“

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი

ივანე მაჭავარიანი

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის

ბრძანება №1-1/50

2019 წლის 1 თებერვალი, ქ. თბილისი

სახელმწიფოს 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოების კაპიტალში არსებული ან/და ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების განკარგვის წესის დამტკიცების თაობაზე „საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 11 თებერვლის №70 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დებულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ**:

1. დამტკიცდეს სახელმწიფოს 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოების კაპიტალში არსებული ან/და ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების განკარგვის წესი.

2. ბრძანება არ ვრცელდება სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილ იმ საწარმოებზე, რომელთა აქციები და წილები გადაცემულია მართვის უფლებით და სს „საპარტნიორო ფონდზე“.

3. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის მე-12 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ძალადაკარგულად გამოცხადდეს „სახელმწიფოს 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოების კაპიტალში არსებული ან/და ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების განკარგვის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2010 წლის 29 ოქტომბრის №1-1/1732 ბრძანება.

4. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი

გიორგი ქობულია

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

სახელმწიფოს 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოების კაპიტალში არსებული ან/და ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების განკარგვის წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

ეს წესი (შემდგომში – წესი) აწესრიგებს სახელმწიფოს 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოების (შემდგომში – საწარმოები) კაპიტალში არსებული ან/და ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების (შემდგომში – ძირითადი საშუალებები) განკარგვის პროცესს.

მუხლი 2. ძირითადი საშუალებების განკარგვის ფორმები და საწარმოთა მიერ სასამართლო დავების შესახებ შეტყობინების ვალდებულება

1. ძირითადი საშუალებების განკარგვის ფორმებია:

ა) ბალანსიდან ჩამოწერა;

ბ) დროებით სასყიდლიან/უსასყიდლო სარგებლობაში გადაცემა;

გ) გაყიდვა;

დ) ძირითადი საშუალებების საწარმოს კაპიტალიდან ამოღება, ან/და სხვა საწარმოს კაპიტალში შეტანა;

ე) გაცვლა;

ვ) სასყიდლიანი აღნაგობის უფლებით გადაცემა.

2. საწარმოს ხელმძღვანელის (სამეთვალყურეო საბჭოს არსებობისას – მისი წინასწარი თანხმობით) გადაწყვეტილების საფუძველზე, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალ სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსთან“ (შემდგომში – ქონების სააგენტო) შეთანხმებით, შეიძლება გამოყენებულ იქნეს საქართველოს სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრული განკარგვისა და გადაცემის სხვა ფორმებიც.

3. საწარმოს ხელმძღვანელი ვალდებულია ადმინისტრაციული ორგანოს წინააღმდეგ სარჩელის აღძვრამდე ორი კვირის ვადაში წერილობით აცნობოს ქონების სააგენტოს ამასთან, საწარმოს ხელმძღვანელი ვალდებულია სასამართლო შეტყობინების მიღებიდან ერთი კვირის ვადაში წერილობით მიაწოდოს ინფორმაცია ქონების სააგენტოს იმ სასამართლო დავის შესახებ, რომელშიც საწარმო წარმოადგენს მოპასუხეს.

მუხლი 3. ძირითადი საშუალებების ბალანსიდან ჩამოწერა

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

1. ამორტიზებული ან გამოუყენებელი ძირითადი საშუალებების ჩამოწერა ხდება საწარმოს ხელმძღვანელის გადაწყვეტილებით (სამეთვალყურეო საბჭოს არსებობისას – მისი წინასწარი თანხმობით), გარდა საზოგადოების კაპიტალში არსებული ან/და ბალანსზე რიცხული უძრავი ქონების ჩამოწერისა, რაც ხორციელდება ქონების სააგენტოს წერილობითი თანხმობის საფუძველზე. ქონების სააგენტოს თანხმობა საჭიროა იმ შემთხვევაშიც, თუ წლის განმავლობაში ჩამოსაწერი მოძრავი ძირითადი საშუალებების (საშუალების) ჯამური ნარჩენი საბალანსო ღირებულება აღემატება საწარმოს მთელი ძირითადი საშუალებების ნარჩენი საბალანსო ღირებულების 10%-ს.

2. ძირითადი საშუალებების ჩამოწერა ხდება აქტივებისა და ვალდებულებათა ინვენტარიზაციის საფუძველზე, ხოლო ჩამოწერის შედეგები აისახება საწარმოს წლიურ ბალანსზე.

3. ძირითადი საშუალებების ბალანსიდან ჩამოწერის მიზნით საწარმოს ხელმძღვანელის შესაბამისი წერილობითი გადაწყვეტილებით იქმნება კომისია, რომელშიც შედიან საწარმოს ხელმძღვანელები, ბუღალტერი და სხვა თანამშრომლები, კომისიის წევრი შესაძლებელია იყოს მოწვეული პირიც.

4. კომისია სწავლობს ამორტიზებული ან ექსპლუატაციისათვის გამოუყენებელი (ვადაზე ადრე ჩამოწერა) ძირითადი საშუალების მდგომარეობას, ასაბუთებს ძირითადი საშუალების საწარმოს ბალანსიდან ჩამოწერის აუცილებლობას და ძირითადი საშუალებების ნარჩენი ღირებულების დადგენის აქტებს და ძირითადი საშუალებების ლიკვიდაციის აქტებს თითოეულ ძირითად საშუალებაზე ცალ-ცალკე. რომლის საფუძველზეც ხდება სასაქონლო მატერიალური მარაგების საწარმოო მარაგების სახით ბალანსზე აყვანა.

5. საწარმოს ხელმძღვანელი უზრუნველყოფს ჩამოსაწერი ძირითადი საშუალებების ნარჩენი ღირებულებისა და მათი ლიკვიდაციის შედეგად მიღებული სასაქონლო მატერიალური მარაგების ღირებულების დადგენის აქტების შემოწმებასა და დადასტურებას ექსპერტის/შესაბამისი ლიცენზიის მქონე აუდიტორის მიერ, რის შემდეგაც იგი ამტკიცებს კომისიის მიერ ძირითადი საშუალებების ჩამოწერასთან დაკავშირებულ ყველა აქტს.

6. დაუმთავრებელი მშენებლობის ან/და ექსპლუატაციისათვის გამოუსადეგარი შენობა-ნაგებობის ჩამოწერის მიზნით საწარმოს ხელმძღვანელი დასაბუთებული წინადადებით მიმართავს ქონების სააგენტოს და წარუდგენს საექსპერტო დასკვნას.

7. ძირითადი საშუალებების ჩამოწერის შედეგად მიღებული ქონების (ჯართი, სამშენებლო მასალა, ნაწილების და სხვა) გაყიდვა ხორციელდება ელექტრონული აუქციონის ფორმით.

8. ძირითადი საშუალებების ჩამოწერის შედეგად მიღებული ქონების (ჯართი, სამშენებლო მასალა, ნაწილების და სხვა) ელექტრონული აუქციონის მოწყობის გარეშე გაყიდვა ხორციელდება საწარმოს ხელმძღვანელის გადაწყვეტილებით (სამეთვალყურეო საბჭოს არსებობისას – მისი წინასწარი თანხმობით) ქონების სააგენტოსთან შეთანხმებით.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

9. გაყიდვიდან მიღებული თანხა ირიცხება საწარმოს ანგარიშზე.

10. ჩამოწერის მართლზომიერებასა და შედეგებზე პასუხისმგებელია საწარმოს ხელმძღვანელი.

მუხლი 4. ძირითადი საშუალებების დროებით სასყიდლიან სარგებლობაში გადაცემა

1. უძრავი ძირითადი საშუალებების დროებით სასყიდლიან სარგებლობაში გადაცემა ხორციელდება საწარმოს ხელმძღვანელის (სამეთვალყურეო საბჭოს არსებობისას – მისი წინასწარი თანხმობით) გადაწყვეტილების საფუძველზე, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალებების დროებით სასყიდლიან სარგებლობაში ადრე გადაცემული და/ან გადასაცემი ფართების ჯამური ოდენობა აღემატება 50 m^2-ს და/ან შეადგენს საწარმოს ქონების (შენობის, მიწის ნაკვეთის და ა.შ) საერთო ფართის 10%-ზე მეტს. აღნიშნული ფართის გადაცემა წინასწარ საჭიროებს ქონების სააგენტოსთან შეთანხმებას. ასეთი შეთანხმება საჭიროა იმშემთხვევაშიც, თუ წლის განმავლობაში დროებით სასყიდლიან სარგებლობაში გადასაცემი მოძრავი ძირითადი საშუალებების (საშუალების) ჯამური ნარჩენი საბალანსო ღირებულება აღემატება საწარმოს ძირითადი საშუალებების ნარჩენი საბალანსო ღირებულების 5%-ს.

2. თავისუფალი ინდუსტრიული ზონის ორგანიზატორი საწარმოს მიერ უძრავი ან მოძრავი ძირითადი საშუალებების დროებით სასყიდლიან სარგებლობაში გადაცემა (მათ შორის, ელექტრონული აუქციონის მოწყობის გარეშე) არ საჭიროებს ქონების სააგენტოსთან შეთანხმებას ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, თუ ძირითადი საშუალებების დროებით სასყიდლიან სარგებლობაში გადაცემა ხორციელდება არანაკლებ დამოუკიდებელი აუდიტორის (ექსპერტის) დასკვნით დადგენილი სარგებლობაში გადაცემის წლიური საფასურის ოდენობით. დამოუკიდებელი აუდიტორის (ექსპერტის) დასკვნით დადგენილი სარგებლობაში გადაცემის წლიურ საფასურზე ნაკლები ოდენობით თავისუფალი ინდუსტრიული ზონის ორგანიზატორი საწარმოს მიერ უძრავი ან მოძრავი ძირითადი საშუალებების დროებით სასყიდლიან სარგებლობაში გადაცემა შესაძლებელია განხორციელდეს მხოლოდ სარგებლობაში გადაცემის პირობების არსებობისას, ქონების სააგენტოსთან წინასწარი შეთანხმებით.

3. ძირითადი საშუალებების დროებით სასყიდლიან სარგებლობაში გადაცემა ხორციელდება ელექტრონული აუქციონის ფორმით.

4. ძირითადი საშუალებების ელექტრონული აუქციონის მოწყობის გარეშე დროებით სასყიდლიან სარგებლობაში გადაცემის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ქონების სააგენტო.

5. საწარმოს ხელმძღვანელი ვალდებულია ქონების სააგენტოს შესათანხმებლად წარუდგინოს სააუქციონო პირობები სააგენტოს მიერ დადგენილი, ძირითადი საშუალების დროებით სასყიდლიან სარგებლობაში გადაცემის საკითხის განსახილველად საჭირო დოკუმენტაციასთან ერთად.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

6. საწარმოს ან/და დროებით სარგებლობაში გადაცემული ქონების გაყიდვის შემთხვევაში საწარმოს/ქონების შემძენი უფლებამოსილია შეწყვიტოს საწარმოს/ქონების რეალიზაციამდე საწარმოს ძირითადი საშუალებების დროებით სასყიდლიან სარგებლობაში გადაცემის ურთიერთობები (ხელშეკრულებები), რაც ძირითადი საშუალებების დროებით სასყიდლიან სარგებლობაში გადაცემის ერთ-ერთი ძირითადი პირობაა და უნდა მიეთითოს ძირითადი საშუალებების დროებით სასყიდლიან სარგებლობაში გადაცემის სააუქციონო და სახელშეკრულებო პირობებში.

მუხლი 5. ძირითადი საშუალებების საწარმოს კაპიტალიდან ამოღება და/ან სხვა საწარმოს კაპიტალში შეტანა

1. გადაწყვეტილებას, საწარმოს კაპიტალის გაზრდის შესახებ იღებს ქონების სააგენტო.

2. საწარმოს კაპიტალის შემცირების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ქონების სააგენტო.

3. საწარმოს კაპიტალში ცვლილებების შეტანა საჭიროებს ექსპერტის/შესაბამისი ლიცენზიის მქონე აუდიტორის მიერ დამოწმებულ საექსპერტო/აუდიტორულ დასკვნას.

4. საწარმოს მიერ სხვა საწარმოთა კაპიტალში ქონებრივი შენატანის განხორციელება ხდება საწარმოს ხელმძღვანელის გადაწყვეტილებით (სამეთვალყურეო საბჭოს არსებობისას – მისი წინასწარი თანხმობით) ქონების სააგენტოსთან შეთანხმებით.

მუხლი 6. ძირითადი საშუალებების გაყიდვა

1. ძირითადი საშუალებების გაყიდვა ხდება საწარმოს ხელმძღვანელის გადაწყვეტილებით (სამეთვალყურეო საბჭოს არსებობისას – მისი წინასწარი თანხმობით), ქონების სააგენტოსთან შეთანხმებით.

2. ძირითადი საშუალებების გაყიდვა ხორციელდება ელექტრონული აუქციონის ფორმით.

3. ძირითადი საშუალებების ელექტრონული აუქციონის მოწყობის გარეშე გაყიდვა ხდება ქონების სააგენტოს გადაწყვეტილებით.

4. საწარმოს ხელმძღვანელი ვალდებულია ქონების სააგენტოს შესათანხმებლად წარუდგინოს სააუქციონო პირობები ქონების სააგენტოს მიერ დადგენილი ძირითადი საშუალებების გაყიდვის საკითხის განსახილველად საჭირო დოკუმენტაციასთან ერთად.

5. ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებული თანხა ირიცხება საწარმოს ანგარიშზე.

მუხლი 7. გაცვლა

1. ქონების გაცვლა ხორციელდება საწარმოს ხელმძღვანელის გადაწყვეტილებით (სამეთვალყურეო საბჭოს არსებობისას – მისი წინასწარი თანხმობით), ქონების სააგენტოსთან შეთანხმებით.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

2. საწარმო აფორმებს ხელშეკრულებას ქონების გაცვლის შესახებ ქონების სააგენტოს მიერ თანხმობის გაცემის დღიდან 3 (სამი) თვის ვადაში. ამ ვადის გასვლის შემთხვევაში, ქონების გაცვლის თაობაზე ხელახალი თანხმობის მიღება შესაძლებელია ამ წესით გათვალისწინებული პროცედურების დაცვით.

3. გაცვლისას გასაცვლელი ქონების ღირებულება (გარდა ფულადი მოთხოვნებისა) დგინდება აუდიტორული (საექსპერტო) დასკვნის საფუძველზე.

4. თუ ურთიერთგადასაცემი ქონება არატოლფასოვანია, ქონების ნაწილი შეიძლება ანაზღაურდეს ფულადი თანხით ან სხვა ქონებით.

5. ქონების ურთიერთგადაცემის შედეგად მიღებული თანხა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ირიცხება საწარმოს ანგარიშზე.

6. ქონების ურთიერთგადაცემის შედეგად მიღებული თანხის გამოყენების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საწარმოს ხელმძღვანელი (სამეთვალყურეო საბჭოს არსებობისას - მისი წინასწარი თანხმობით), ქონების სააგენტოსთან შეთანხმებით.

მუხლი 8. სასყიდლიანი აღნაგობის უფლებით გადაცემა

1. მიწის ნაკვეთის სასყიდლიანი აღნაგობის უფლებით გადაცემა ხორციელდება საწარმოს ხელმძღვანელის (სამეთვალყურეო საბჭოს არსებობისას – მისი წინასწარი თანხმობით) გადაწყვეტილებით ქონების სააგენტოსთან შეთანხმებით, ელექტრონული აუქციონის ფორმით ან ელექტრონული აუქციონის გარეშე.

2. თავისუფალი ინდუსტრიული ზონის ორგანიზატორი საწარმოს მიერ მიწის ნაკვეთის სასყიდლიანი აღნაგობის უფლებით გადაცემა (მათ შორის, ელექტრონული აუქციონის მოწყობის გარეშე) არ საჭიროებს ქონების სააგენტოსთან შეთანხმებას ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, თუ მიწის ნაკვეთის დროებით სასყიდლიანი აღნაგობის უფლებით გადაცემა ხორციელდება არანაკლებ დამოუკიდებელი აუდიტორის (ექსპერტის) დასკვნით დადგენილი აღნაგობის უფლებით გადაცემის წლიური საფასურის ოდენობით. დამოუკიდებელი აუდიტორის (ექსპერტის) დასკვნით დადგენილი აღნაგობის უფლებით გადაცემის წლიურ საფასურზე ნაკლები ოდენობით თავისუფალი ინდუსტრიული ზონის ორგანიზატორი საწარმოს მიერ მიწის ნაკვეთის სასყიდლიანი აღნაგობის უფლებით გადაცემა შესაძლებელია განხორციელდეს მხოლოდ სასყიდლიანი აღნაგობის უფლებით გადაცემის პირობების არსებობისას, ქონების სააგენტოსთან წინასწარი შეთანხმებით.

3. საწარმოს ხელმძღვანელი ვალდებულია, ქონების სააგენტოს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული თანხმობისათვის წარუდგინოს სასყიდლიანი აღნაგობის უფლებით გადაცემის პირობების შესახებ ინფორმცია საკითხის განსახილველად საჭირო, დოკუმენტაციასთან ერთად.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

4. საწარმოს ან/და სასყიდლიანი აღნაგობის უფლებით გადაცემული მიწის ნაკვეთის გაყიდვის შემთხვევაში, საწარმოს/მიწის ნაკვეთის შემძენი უფლებამოსილია, შეწყვიტოს საწარმოს/მიწის ნაკვეთის რეალიზაციამდე საწარმოს მიწის ნაკვეთის სასყიდლიანი აღნაგობის უფლებით გადაცემის ხელშეკრულებები, იმ შემთხვევაში, თუ ასეთი უფლების შესახებ მითითებულია სასყიდლიანი აღნაგობის უფლებით გადაცემის აუქციონის პირობებში და გათვალისწინებულია შესაბამის ხელშეკრულებაში.

5. მიწის ნაკვეთის სასყიდლიანი აღნაგობის უფლებით გადაცემის ხელშეკრულებაში უნდა აისახოს აღნაგობის მიზანი.

6. საწარმოს ხელმძღვანელი ვალდებულია ქონების სააგენტოს წლიურ შედეგებთან ერთად წარუდგინოს ინფორმაცია მიწის ნაკვეთის სასყიდლიანი აღნაგობის უფლებით გადაცემის შედეგებისა და გადაცემული ქონების მდგომარეობის შესახებ.

მუხლი 9. ძირითადი საშუალებების დროებით უსასყიდლოდ სარგებლობაში გადაცემა

1. საწარმოს ძირითადი საშუალებების დროებით უსასყიდლოდ სარგებლობაში გადაცემა ხორციელდება სახელმწიფო ორგანოსთვის, აფხაზეთის ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოსათვის, საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის, სახელმწიფოს 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოსათვის ან სახელმწიფო ორგანოების მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიული პირებისათვის საწარმოს ხელმძღვანელის (სამეთვალყურეო საბჭოს არსებობისას – მისი წინასწარი თანხმობით) გადაწყვეტილებით და ქონების სააგენტოსთან შეთანხმებით, ელექტრონული აუქციონის გარეშე.

2. საწარმოს ან/და დროებით უსასყიდლოდ სარგებლობაში გადაცემული ქონების გაყიდვის შემთხვევაში, საწარმოს/ქონების შემძენი უფლებამოსილია, შეწყვიტოს საწარმოს/ქონების რეალიზაციამდე საწარმოს/ქონების უსასყიდლოდ სარგებლობაში გადაცემის ხელშეკრულებები, იმ შემთხვევაში, თუ ასეთი უფლების შესახებ მითითებულია შესაბამის უსასყიდლოდ სარგებლობაში გადაცემის ხელშეკრულებაში.

მუხლი 10. ელექტრონული აუქციონის ჩატარების წესი

1. ელექტრონული აუქციონის ორგანიზებას ახორციელებს საწარმოს ხელმძღვანელი.

2. ელექტრონული აუქციონის ჩატარებისას გამოიყენება „სახელმწიფო ქონების განკარგვისას და სარგებლობის უფლებით გადაცემისას ელექტრონული აუქციონის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2011 წლის 10 თებერვლის №1-1/172 ბრძანება, ამ წესის თავისებურებათა გათვალისწინებით.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

მუხლი 11. **ძირითადი საშუალებების ღირებულების განსაზღვრა**

1. ძირითადი საშუალებების ღირებულების განსაზღვრისას, ამ წესის თავისებურებათა გათვალისწინებით, გამოიყენება „სახელმწიფო ქონების საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურისა და სარგებლობაში გადაცემის საფასურის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 10 დეკემბრის №328 დადგენილება.

2. ძირითადი საშუალებების განკარგვის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულება უნდა განხორციელდეს 6 თვის განმავლობაში, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ხელმძღვანელის მიერ მიღებული გადაწყვეტილება საჭიროებს საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოსთან ან/და ქონების სააგენტოსთან შეთანხმებას, ეს ვადა იანგარიშება შესაბამისი თანხმობის გაცემის დღიდან. ამ ვადის გასვლის შემთხვევაში საწარმოს ძირითადი საშუალებების განკარგვისა და გადაცემის შესახებ ხელახალი გადაწყვეტილების მიღება ხდება ამ წესით გათვალისწინებული პროცედურების დაცვით.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის

ბრძანება №2-77

2019 წლის 24 იანვარი, ქ. თბილისი

„ყურძნისეული წარმოშობის ალკოჰოლიანი სასმელისა და ყურძნისეული წარმოშობის სპირტის სერტიფიცირების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 19 თებერვლის №2-82 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

„ყურძნისეული წარმოშობის ალკოჰოლიანი სასმელისა და ყურძნისეული წარმოშობის სპირტის სერტიფიცირების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 19 თებერვლის №2-82 ბრძანებაში (www.matsne.gov.ge, გამოქვეყნების თარიღი: 20/02/2018, სარეგისტრაციო კოდი: 340050000.22.023.016476) შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანების პირველი მუხლით დამტკიცებული „ყურძნისეული წარმოშობის ალკოჰოლიანი სასმელისა და ყურძნისეული წარმოშობის სპირტის სერტიფიცირების წესის":

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

1. მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ) სააგენტოს მხრიდან მოთხოვნის შესაბამისად –ალკოჰოლიანი სასმელის/სპირტის შემთხვევაში, იმ ეტიკეტის ნიმუში/ასლი, რომელიც დატანილი იქნება სერტიფიცირებულ ლოტში განთავსებულ დაფასოებულ ტარაზე.“.

2. მე-6 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საქართველოში წარმოებულ, არაუმეტეს 50 ლიტრის მოცულობის სამომხმარებლო ტარაში დაფასოებულ, სარეალიზაციოდ განკუთვნილ ალკოჰოლიან სასმელსა და სპირტზე ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში საექსპორტოდ განკუთვნილ ყურძნის წვენსა და ყურძნის ტკბილზე, ასევე საქართველოში სარეალიზაციოდ განკუთვნილ იმპორტირებულ ალკოჰოლიან სასმელსა და სპირტზე სავალდებულოა დატანილ იქნეს ლოტის ნომერი.“.

3. მე-7 მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. ღვინის, ყურძნის ტკბილისა და ყურძნის წვენის ლაბორატორიული გამოცდის ოქმის მისაღებად თითოეული ლოტის 0,75 ლიტრი ან მეტი ტევადობის 6 ბოთლი, განაცხადთან და ნიმუშის აღების აქტთან (დანართი №4) ერთად წარედგინება აკრედიტებულ საგამოცდო ლაბორატორიას (შემდგომში – ლაბორატორია). იმ შემთხვევაში, თუ სითხე ჩამოსხმულია 0,75 ლიტრზე ნაკლები ტევადობის მქონე ჭურჭელში, მისი ჯამური რაოდენობა არ უნდა იყოს 4,5 ლიტრზე ნაკლები.

6. სპირტიანი სასმელისა და სპირტის ლაბორატორიული გამოცდის ოქმის მისაღებად თითოეული ლოტის 0,5 ლიტრი ან მეტი ტევადობის 4 ბოთლი, ხოლო სავალდებულო დეგუსტაციას დაქვემდებარებული სპირტიანი სასმელის შემთხვევაში – 6 ბოთლი, განაცხადთან და ნიმუშის აღების აქტთან ერთად წარედგინება ლაბორატორიას. იმ შემთხვევაში, თუ სითხე ჩამოსხმულია 0,5 ლიტრზე ნაკლები ტევადობის მქონე ჭურჭელში მისი ჯამური რაოდენობა არ უნდა იყოს 2 ლიტრზე, ხოლო სავალდებულო დეგუსტაციას დაქვემდებარებული სპირტიანი სასმელის შემთხვევაში – 3 ლიტრზე ნაკლები.“.

4. მე-8 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ორგანოლეპტიკური შემოწმების ჩატარების მიზნით სააგენტოს, გამოცდის ოქმთან ერთად, გადაეცემა განმცხადებლის მიერ ლაბორატორიაში წარდგენილი ნიმუშის 3 ბოთლი. იმ შემთხვევაში, თუ სითხე ჩამოსხმულია 0,75 ლიტრზე ნაკლები ტევადობის მქონე ჭურჭელში, მისი ჯამური რაოდენობა არ უნდა იყოს 2,25 ლიტრზე ნაკლები.“.

5. მე-9 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 9. ორგანოლეპტიკური შემოწმება (დეგუსტაცია)**

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

1. ორგანოლეპტიკური შემოწმება ხორციელდება სააგენტოს მუდმივმოქმედი სადეგუსტაციო კომისიის მიერ, რომლის წევრთა შემადგენლობას მუდმივმოქმედი სადეგუსტაციო კომისიის თავმჯდომარის წარდგინებით ამტკიცებს სააგენტოს თავმჯდომარე.

2. მუდმივმოქმედი სადეგუსტაციო კომისიის წევრი (დეგუსტატორი) შეიძლება იყოს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ) ერთობლივი პროექტის „ღვინის ხარისხის სისტემის შექმნა“ ფარგლებში მომზადებული დეგუსტატორი, რომელიც ფლობს პროექტის სერტიფიკატს. ასევე ის პირი, რომელსაც წარმატებით აქვს ჩაბარებული სააგენტოს მიერ ორგანიზებული გამოცდა.

3. დეგუსტაცია ტარდება მხოლოდ ამ წესის მე-8 მუხლით გათვალისწინებული ანალიტიკური ექსპერტიზის დადებითი შედეგების შემთხვევაში.

4. ღვინის კომპანიას უფლება აქვს, სერტიფიცირების პროცესისგან დამოუკიდებლად მიმართოს სააგენტოს ალკოჰოლიანი სასმელის დეგუსტაციის ჩატარების თაობაზე. ასეთ შემთხვევაში ორგანოლეპტიკური შემოწმების შედეგებს აქვს მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათი.

5. დეგუსტაცია ტარდება იმ სიხშირით, რაც უზრუნველყოფს სერტიფიცირების პროცესის შეუფერხებელ მიმდინარეობას.

6. დეგუსტაციის დღეებს, მუდმივმოქმედი სადეგუსტაციო კომისიის თავმჯდომარის წინადადების საფუძველზე, განსაზღვრავს სააგენტოს თავმჯდომარე.

7. დეგუსტატორთა ერთი და იმავე ჯგუფისათვის სადეგუსტაციო ნიმუშების მაქსიმალური დღიური რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 50 ერთეულს.

8. დეგუსტაციაში მონაწილეობას იღებს 5 დეგუსტატორი.

9. დეგუსტაციის დაწყებამდე მუდმივმოქმედი სადეგუსტაციო კომისიის თავმჯდომარე ნიმუშებს ანიჭებს კოდს და უზრუნველყოფს მონაცემთა (ღვინის კომპანიის დასახელება, ალკოჰოლიანი სასმელის სახეობა, კატეგორია, ტიპი, ფერი, დასახელება, მოსავლის წელი, ლოტის ნომერი) სააგენტოს მონაცემთა ბაზაში შეყვანას.

10. დეგუსტატორები ნიმუშს სინჯავენ სადეგუსტაციო დარბაზში განთავსებულ სპეციალურ კაბინებში.

11. დეგუსტაციის დაწყებამდე დეგუსტატორებს ეძლევათ მათთვის განკუთვნილი დეგუსტაციის ვერსია, ელექტრონული და/ან ქაღალდის ვერსიის სახით, რომელშიც მოცემული იქნება სადეგუსტაციოდ წარდგენილი ალკოჰოლიანი სასმელების შემდეგი მონაცემები: კოდი, სახეობა, კატეგორია, ტიპი, ფერი, დასახელება, მოსავლის წელი.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

12. დეგუსტაციაზე ნიმუშის წარდგენა, როგორც წესი, ხდება შემდეგი თანმიმდევრობით: ღვინო, სპირტიანი სასმელი.

13. დეგუსტაციაზე ღვინის ნიმუშის წარდგენა, როგორც წესი, ხდება შემდეგი თანმიმდევრობით:

ა) ფერის მიხედვით: თეთრი, ქარვისფერი, ვარდისფერი, წითელი;

ბ) შაქრიანობის მიხედვით: მშრალი, ნახევრად მშრალი, ნახევრად ტკბილი, ტკბილი;

გ) დამზადების მეთოდის მიხედვით: ცქრიალა ღვინო, შემაგრებული, არომატიზებული და სხვ.

14. დეგუსტატორი ნიმუშს ამოწმებს შემდეგი პარამეტრებით:

ა) ტიპურობა;

ბ) აშკარად გამოხატული ზადი ან/და აშკარად გამოხატული დაავადება.

15. ამ წესის მიზნებისთვის ღვინის დაავადება/ზადია: დაჟანგვა, მქროლავი მჟავიანობა, გოგირდწყალბადი ან/და მერკაპტანი, გოგირდოვანი ანჰიდრიდი (SO2), ეთილაცეტატი, ბრეტანომიცესი, თაგვის გემონაკრავი, რძემჟავა ტონი, ობის (შმორის) ტონი, არატიპური სიძველე (დაცული ადგილწარმოშობის დასახელების ღვინოების შემთხვევაში), ნემსიწვერას ტონი (დაცული ადგილწარმოშობის დასახელების ღვინოების შემთხვევაში), აშკარა გარეშე სუნი ან/და გემო.

16. დეგუსტაციის პროცესში, პირველ ეტაპზე ღვინო ფასდება ფერსა და გამჭვირვალობაზე, ტიპურობაზე და დაავადების (ზადის) არსებობაზე, რასაც დეგუსტატორი აფიქსირებს შესაბამის გრაფაში. სხვა მახასიათებლები: არომატი, გემო, ჰარმონიულობა ფასდება ხუთქულიანი სისტემით (0,5 ბიჯით). ამასთან, ჰარმონიულობის შეფასება არ შეიძლება აღემატებოდეს გემოსა და არომატის შეფასებას ერთ ქულაზე მეტად.

17. იმ შემთხვევაში, თუ დეგუსტატორი ღვინის შეფასებისას უარყოფითად შეაფასებს ფერსა და გამჭვირვალობას ან/და ტიპურობას ან/და აღნიშნავს დაავადებას ღვინო ავტომატურად ფასდება 0 ქულით.

18. ნიმუშის 0 ქულით შეფასების შემთხვევაში დეგუსტატორი ვალდებულია შენიშვნების გრაფაში მიუთითოს გადაწყვეტილების მიღების მიზეზი. წინააღმდეგ შემთხვევაში მისი შეფასება უქმდება.

19. სადეგუსტაციო კომისიის თითოეული დეგუსტატორის მიერ ალკოჰოლიანი სასმელის ნიმუშის საშუალო შეფასება ხორციელდება ცალკეული მახასიათებლების (არომატის, გემოსა და ჰარმონიულობის შეფასების) ქულათა ჯამის 3-ზე გაყოფის შედეგად.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

20. ალკოჰოლიანი სასმელის დეგუსტაციის დამთავრების შემდეგ დეგუსტატორი თავის შეფასებას, ტესტირების შედეგებს ადასტურებს სადეგუსტაციო ფურცელზე ან ელექტრონული ხელმოწერით.

21. ალკოჰოლიანი სასმელის თითოეული ნიმუშის შეფასების ბალური მაჩვენებლის დასადგენად საშუალო შეფასებების ჯამი იყოფა 5-ზე.

22. ალკოჰოლიანი სასმელის ნიმუშისათვის დადებით შედეგად ითვლება, თუ შეფასების ბალური მაჩვენებელი ტოლია ან მეტი 1,5-ზე. ალკოჰოლიანი სასმელი ვერ გადის ორგანოლეპტიკურ შემოწმებას, თუ ბალური მაჩვენებელი იქნება 1,5-ზე ნაკლები.

23. თუ ალკოჰოლიანი სასმელის ნიმუში არანაკლებ 2 დეგუსტატორის მიერ მიიღებს შეფასებას „საცობის ტონით“, იმავე დეგუსტაციაზე შემოდის ალკოჰოლიანი სასმელის საკონტროლო ნიმუში.

24. ნიმუშის უარყოფითად შეფასების შემთხვევაში შესაძლებელია განმეორებით დეგუსტაციის ჩატარების მოთხოვნა. სერტიფიცირების მიზნებისათვის ერთსა და იმავე ლოტიდან აღებული ნიმუშის დეგუსტაციაზე გატანა დასაშვებია არაუმეტეს სამჯერ. ასეთ შემთხვევაში ალკოჰოლიანი სასმელის ნიმუშის ორგანოლეპტიკური შეფასების საბოლოო შედეგი დგინდება ჩატარებულ დეგუსტაციებზე მიღებული შეფასების ბალური მაჩვენებლების საშუალო არითმეტიკულით.

25. დეგუსტაციის საბოლოო შედეგები ფორმდება შესაბამისი ოქმით და ეცნობება განმცხადებელს.

26. მუდმივმოქმედი სადეგუსტაციო კომისიის თავმჯდომარე ვალდებულია უზრუნველყოს:

ა) სადეგუსტაციოდ წარმოდგენილი ნიმუშის მიღება და რეგისტრაციაში გატარება;

ბ) ნიმუშისათვის კოდის მინიჭება და დეგუსტაციისათვის მომზადება;

გ) ნიმუშის მწარმოებელი ღვინის კომპანიის თაობაზე ანონიმურობის დაცვა;

დ) დეგუსტაციაში მონაწილე დეგუსტატორთა ვინაობისა და მათი შეფასებების ანონიმურობის დაცვა;

ე) სააგენტოს მუდმივმოქმედი სადეგუსტაციო კომისიის წევრების მოწვევა როტაციის პრინციპის დაცვით.

27. სადეგუსტაციო კომისიის თავმჯდომარე სადეგუსტაციო ნიმუშებს არ აძლევს შეფასებას.

28. დეგუსტატორი ვალდებულია:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ა) შეტყობინების შემთხვევაში მონაწილეობა მიიღოს მუდმივმოქმედი სადეგუსტაციო კომისიის მუშაობაში;

ბ) გამოუცხადებლობის მიზეზის არსებობის შემთხვევაში, არაუგვიანეს დეგუსტაციის წინა დღისა, აღნიშნულის თაობაზე აცნობოს კომისიის თავმჯდომარეს;

გ) დაიცვას დეგუსტაციასთან დაკავშირებული ინფორმაციის კონფიდენციალურობა.

29. დეგუსტატორის საქმიანობა ექვემდებარება ანაზღაურებას.“.

6. მე-10 მუხლის მეორე პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) განმცხადებელი სააგენტოში წარადგენს უკვე სამომხმარებლო ტარაში დაფასოებული ალკოჰოლიანი სასმელის ნიმუშის 3 ბოთლს, რომლის საერთო ოდენობა არ უნდა იყოს 1,5 ლიტრზე ნაკლები.“.

7. მე-11 მუხლის მე-15 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„15. სერტიფიკატის გაუქმების საფუძველია სახელმწიფო კონტროლისა და ზედამხედველობის და/ან საინსპექციო კონტროლის არადამაკმაყოფილებელი შედეგები ან სერტიფიკატის მფლობელის განაცხადი.“.

8. მე-15 მუხლის მე-8 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„8. სააგენტო, საჭიროების შეთხვევაში, ახორციელებს ნიმუშის ლაბორატორიულ გამოცდას როგორც ამ წესის მე-8 მუხლით გათვალისწინებულ პარამეტრებზე, ასევე ნახშირბადის 13C/12C იზოტოპების თანაფარდობაზე, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს იმპორტიორი ქვეყნის კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს გარემოს დაცვისა და

სოფლის მეურნეობის მინისტრი

ლევან დავითაშვილი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის

ბრძანება №03/ნ

2019 წლის 29 იანვარი, ქ. თბილისი

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის მიერ ხელშეკრულებების საფუძველზე გაწეული მომსახურების საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 31 მარტის №45/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

შეტანილ იქნეს ცვლილება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის მიერ ხელშეკრულებების საფუძველზე გაწეული მომსახურების საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2011 წლის 31 მარტის №45/ნ ბრძანებაში (ვებგვერდი, 110331052, 31/03/2011) და ბრძანების პირველი პუნქტის:

1. „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან ხელშეკრულებების საფუძველზე ერთი მანდატურის საშტატო ერთეულით გაწეული მომსახურების საფასური თვეში განისაზღვროს 900 ლარის ოდენობით;".

2. „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) კერძო სამართლის სამეწარმეო ან არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სახით შექმნილ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებთან ხელშეკრულებების საფუძველზე ერთი მანდატურის საშტატო ერთეულით გაწეული მომსახურების საფასური თვეში განისაზღვროს 900 ლარის ოდენობით.".

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს განათლების, მეცნიერების,

კულტურისა და სპორტის მინისტრი

მიხეილ ბატიაშვილი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის

ბრძანება №5/04

2019 წლის 14 იანვარი, ქ. თბილისი

„ფულადი გზავნილების განმახორციელებელი პირის რეგისტრაციისა და რეგულირების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2012 წლის 7 თებერვლის №26/04 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“

2017 წლის 23 დეკემბრის №1894-რს საქართველოს ორგანული კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, ამავე კანონის მე-2 მუხლის, „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის, 48-ე მუხლის პირველი პუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ფულადი გზავნილების განმახორციელებელი პირის რეგისტრაციისა და რეგულირების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2012 წლის 7 თებერვლის №26/04 ბრძანება.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ეროვნული ბანკის პრეზიდენტი

კობა გვენეტაძე

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის

ბრძანება №7/04

2019 წლის 18 იანვარი, ქ. თბილისი

კომერციული ბანკების მიერ 200 000 ლარამდე სესხის/საბანკო კრედიტის გაცემის წესის განსაზღვრის შესახებ

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის, 64[1] მუხლის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 625-ე მუხლის მე-7 ნაწილის და 868-ე მუხლის მე-8 ნაწილის და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

კომერციული ბანკები უფლებამოსილნი არიან 200 000 (ორასი ათასი) ლარამდე სესხები/საბანკო კრედიტები გასცენ უცხოური ვალუტით, თუ სესხის/საბანკო კრედიტის გაცემა ხორციელდება საქართველოს მოქალაქეობის არმქონე პირზე ან/და საქართველოში არარეგისტრირებულ იურიდიულ პირზე.

მუხლი 2

ძალადაკარგულად გამოცხადდეს:

ა) „კომერციული ბანკების მიერ 100 000 ლარამდე სესხის გაცემის წესის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2017 წლის 13 იანვრის №4/04 ბრძანება;

ბ) „კომერციული ბანკების მიერ 100 000 ლარამდე საბანკო კრედიტის გაცემის წესის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2017 წლის 18 იანვრის №5/04 ბრძანება.

მუხლი 3

ეს ბრძანება ამოქმედდეს 2019 წლის 23 იანვრიდან.

ეროვნული ბანკის პრეზიდენტი

კობა გვენეტაძე

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის

ბრძანება №9/04

2019 წლის 25 იანვარი, ქ. თბილისი

„საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული ოპერაციების დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2010 წლის 16 დეკემბრის №160/01 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტისა და 67-ე მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტების შესაბამისად, ეროვნული ბანკის ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ხელშეწყობის მიზნით, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

„საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული ოპერაციების დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2010 წლის 16 დეკემბრის №160/01 ბრძანებით (სსმ, №165, 17/12/2010) დამტკიცებულ დებულებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. **პირველი მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„2. ეროვნული ბანკის მონეტარული ოპერაციები მოიცავს საკუთარი ფასიანი ქაღალდების ემისიას, ღია ბაზრის ოპერაციებს, სასესხო და სადეპოზიტო ოპერაციებს, სავალუტო აუქციონის ოპერაციებსა და სავალუტო ოფციონის ოპერაციებს.“.

2. **მე-7 მუხლის მე-7 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ა.დ“ ქვეპუნქტი**:

„ა.დ) სავალუტო ოფციონის აუქციონის შემთხვევაში – ოფციონის პრემიის კლების მიხედვით.“.

3. **მე-14 მუხლის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის** 14^1 **მუხლი**:

„**მუხლი** 14^1. **სავალუტო ოფციონის ოპერაციები**

1. სავალუტო ოფციონი (შემდგომში – ოფციონი) არის ეროვნული ბანკის ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის ინსტრუმენტი, რომლის მეშვეობით ოფციონის გამოყენების პირობების დადგომის შემთხვევაში, ბანკს უფლება აქვს ეროვნული ბანკისგან იყიდოს ეროვნული ვალუტა.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

2. ოფციონის გამოყენების უფლება ბანკს აქვს ოფციონის მოქმედების პერიოდში, მხოლოდ იმ საბანკო დღეს და/ან დღეებში, როცა ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი ნაკლებია წინა 20 საბანკო დღის ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის საშუალო მაჩვენებელზე. ოფციონი ბანკს აძლევს უფლებას ეროვნული ბანკისაგან იყიდოს ლარი ყიდვის დღეს მოქმედი ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსით.

3. ოფციონებს ეროვნული ბანკი ყიდის აუქციონის მეშვეობით, რომლის ჩატარების შესახებ შეტყობინებას ეროვნული ბანკი ბანკებს უგზავნის არაუგვიანეს აუქციონის ჩატარებამდე ერთი საბანკო დღით ადრე.

4. ოფციონების აუქციონის შეტყობინება მოიცავს შემდეგ ინფორმაციას:

ა) ოფციონების აუქციონის ჩატარების თარიღი და დრო;

ბ) ოფციონებით გასაყიდი ეროვნული ვალუტის მთლიანი თანხა;

გ) ერთი განაცხადის მინიმალური, მაქსიმალური და ბიჯის ოდენობა ლარით;

დ) აუქციონის განაცხადების წარდგენის დრო და ტექნიკური საშუალება;

ე) საჭიროების შემთხვევაში, პრემიის მინიმალური ოდენობა;

ვ) ოფციონების გამოყენების პერიოდი;

ზ) ოფციონების გამოყენების დღის გამოცხადების დრო;

თ) ოფციონების გამოყენების განაცხადის წარდგენის დრო და ტექნიკური საშუალება;

ი) ოფციონების გამოყენების ერთი განაცხადის მინიმალური ოდენობა და ბიჯის ოდენობა;

კ) ოფციონების გამოყენების ანგარიშსწორების წესი.

5. ოფციონების აუქციონზე ბანკის მიერ წარდგენილი განაცხადი უნდა მოიცავდეს შემდეგ აუცილებელ ინფორმაციას:

ა) მოთხოვნილი ეროვნული ვალუტის მოცულობას;

ბ) ოფციონების პრემიის ოდენობას პროცენტული გამოხატულებაში განაცხადში მითითებულ თანხასთან.

6. ოფციონების აუქციონზე თითო ბანკიდან დასაშვებია მხოლოდ ერთი განაცხადის წარდგენა.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

7. ოფციონების პრემიის გადახდა ხდება აუქციონის შემდეგ საბანკო დღეს.

8. ოფციონების პრემიის გადახდის ანგარიშსწორებას ახდენს ეროვნული ბანკი აუქციონში გამარჯვებული ბანკების ეროვნული ვალუტის ანგარიშსწორების ანგარიშიდან ოფციონების პრემიის შესაბამისი ოდენობის თანხის ჩამოჭრის გზით.

9. თუ ბანკმა ვერ უზრუნველყო ოფციონების პრემიის გადახდა, უქმდება მის მიერ აუქციონზე ნაყიდი ოფციონი.

10. აუქციონის შედეგებიდან გამომდინარე, ეროვნული ბანკი ადგენს და აწარმოებს ოფციონების ელექტრონულ რეესტრს, სადაც ბანკების ჭრილში აისახება:

ა) თითოეულ აუქციონზე ნაყიდი ოფციონების თანხები;

ბ) ბანკის მიერ გამოყენებული და გამოსაყენებელი ოფციონების თანხები;

გ) გადახდილი ოფციონების პრემია.

11. თუ ოფციონების მოქმედების პერიოდში ბანკმა არ გამოიყენა ოფციონი, იგი უქმდება გადახდილი პრემიის ბანკისათვის დაბრუნების გარეშე.

12. ოფციონების გამოყენების დღე (ოფციონის დღე) არის ისეთი საბანკო დღე, როცა ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი ნაკლებია წინა 20 საბანკო დღის ლარის ოფიციალური კურსის საშუალო მაჩვენებელზე.

13. ყოველდღიურად ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის გაანგარიშების დასრულების შემდეგ, ეროვნული ბანკი განსაზღვრავს შედეგი საბანკო დღე არის თუ არა ოფციონის დღე.

14. თუ შემდეგი საბანკო დღე არის ოფციონის დღე, ეროვნული ბანკი შესაბამის შეტყობინებას უგზავნის მხოლოდ იმ ბანკებს, რომლებსაც მიმდინარე პერიოდში გამოსაყენებელი აქვთ ოფციონი.

15. ბანკი თავისი გადაწყვეტილების შესაბამისად ოფციონის დღეს ახორციელებს ოფციონის გამოყენების განაცხადის წარდგენას აუქციონის შეტყობინებაში განსაზღვრული წესის შესაბამისად.

16. ოფციონების გამოყენების განაცხადი უნდა მოიცავდეს შემდეგ აუცილებელ ინფორმაციას:

ა) ოფციონის თანხა ეროვნულ ვალუტაში, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს ბანკის გამოსაყენებელი ოფციონის თანხას;

ბ) მიმდინარე დღის ლარის ოფიციალურ გაცვლით კურსს.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

17. ბანკის განაცხადის სისწორის შემთხვევაში, ეროვნული ბანკი ადასტურებს მას შემდგომი ანგარიშსწორებისათვის, ხოლო თუ განაცხადი შეიცავს არასწორ მონაცემს, ეროვნული ბანკი აუქმებს მას.

18. განაცხადის დადასტურების შემდეგ ეროვნული ბანკი ახორციელებს ოფციონის რეესტრის განახლებას.

19. ოფციონის ანგარიშსწორება ხდება ოფციონის გამოყენების განაცხადის წარდგენისა და დადასტურების შემდეგ პირველ საბანკო დღეს, როცა ვალუტის ემიტენტ ქვეყნებში არის საბანკო დღე.

20. ოფციონების გამოყენების შემთხვევაში, ბანკი ვალდებულია უცხოური ვალუტის საკორესპოდენტო ანგარიშზე ეროვნულ ბანკში უზრუნველყოს შესაბამისი უცხოური ვალუტის ჩარიცხვა.

21. ოფციონების ანგარიშსწორების დღეს, ეროვნული ბანკი, ბანკის უცხოური ვალუტის საკორესპოდენტო ანგარიშიდან ახდენს უცხოური ვალუტის ჩამოჭრას და ბანკის ეროვნული ვალუტის ანგარიშსწორების ანგარიშზე შესაბამისი თანხის ჩარიცხვას.

22. თუ ოფციონების ანგარიშსწორების დღეს, RTGS სისტემის მეორე შეზღუდვამდე ბანკის უცხოური ვალუტის საკორესპოდენტო ანგარიშზე ეროვნულ ბანკში არ აღმოჩნდა ანგარიშსწორების განხორციელებისათვის საკმარისი თანხა, ანგარიშსწორება ხორციელდება მომდევნო საბანკო დღეს.

23. თუ ოფციონების ანგარიშსწორების დღეს, ვალუტირების თარიღით ანგარიშსწორების ვალუტის ემიტენტ ქვეყანაში საბანკო დღის ბოლომდე არ მოხდა ოფციონების ანგარიშსწორებისათვის აუცილებელი თანხების ჩარიცხვა ეროვნული ბანკის საკორესპონდენტო ანგარიშზე, ბანკს ეროვნული ბანკის სასარგებლოდ დაეკისრება პირგასამტეხლო განაცხადის თანხის 2 პროცენტის ოდენობით.

24. თუ ოფციონების ანგარიშსწორების დღის მომდევნო საბანკო დღეს, RTGS სისტემის მეორე შეზღუდვამდე, ბანკის უცხოური ვალუტის საკორესპოდენტო ანგარიშზე ეროვნულ ბანკში არ აღმოჩნდა ანგარიშსწორების განხორციელებისათვის საკმარისი თანხა, ოფციონების გამოყენების განაცხადი ჩაითვლება ბათილად.

25. პირგასამტეხლოს თანხის ჩამოჭრა ხორციელდება ბანკის ეროვნული ვალუტის ანგარიშსწორების ანგარიშიდან, ხოლო თუ თანხა არასაკმარისი აღმოჩნდა, მაშინ თანხის ჩამოჭრა ხორციელდება ბანკის აშშ დოლარის საკორესპოდენტო ანგარიშიდან და/ან სხვა უცხოური ვალუტის საკორესპოდენტო ანგარიშებიდან. პირგასამტეხლოს თანხის გაანგარიშებისას და გადახდისას გამოიყენება გადახდის დღეს მოქმედი ოფიციალური კურსები.“.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

მუხლი 2

ამ ბრძანების დაუყოვნებელი ამოქმედება განპირობებულია საქართველოს ეროვნული ბანკის ფულად-საკრედიტო პოლიტიკის შეუფერხებლად და დროულად განხორციელების აუცილებლობით.

მუხლი 3

ეს ბრძანება ამოქმედდეს2019 წლის 28 იანვრიდან.

ეროვნული ბანკის პრეზიდენტი

კობა გვენეტაძე

- **მიმოქცევაში არსებული აშშ დოლარის საერთო რაოდენობა შეადგენს 829 მლრდ-ს.**
- **100$-იანი კუპიურის «სიცოცხლის» საშუალო ხანგრძლივობა არის დაახლოებით 89 თვე.**
- **ერთად-ერთი ქალბატონი, რომელსაც პატივად ერგო მისი პროტრეტი ყოფილიყო აშშ-ს ფულის კუპიურებზე არის - მარტა ვაშინგტონი.**
- **დოლარის ყველაზე მსხვილი კუპიურა გამოშვებულ იქნა 1934 წელს, მისი ნომინალი შეადგენდა 100000$-ს, ის გამოიყენებოდა უშუალოდ საბანკო ოპერაციებისთვის.**
- **ყოველი ბანკნოტი გათვლილია 4 ათას ორმაგ გაკეცვაზე.**
- **100$-იანი კუპიურებით შეკრებილი 1 მლნ იწონის 10 კგ-ს, ერთ ცენტიანებით შეგროვებული – 246 ტონას.**
- **1865 წელს, აშშ-ს ვალუტის ბრუნვაში არსებული მესამედი ყალბი იყო.**
- **პიველი კრედიტი გაიცა აშშ-ში 1937 წელს, ხოლო 1939 წელს გაჩნდა პირველი ბანკომატი.**

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის

ბრძანება №14/04

2019 წლის 30 იანვარი, ქ. თბილისი

„კომერციული ბანკების მიერ პილარ 3-ის ფარგლებში ინფორმაციის გამჟღავნების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2017 წლის 22 ივნისის №92/04 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

„კომერციული ბანკების მიერ პილარ 3-ის ფარგლებში ინფორმაციის გამჟღავნების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2017 წლის 22 ივნისის №92/04 ბრძანებით (www.matsne.gov.ge, 23/06/2017, ს.კ: 220020000.18.011.016245) დამტკიცებულ წესში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. **მე-4 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის „თ“ ქვეპუნქტი**:

„თ) ლევერიჯის კოეფიციენტის შესახებ ინფორმაცია ამ წესის №1 ანგარიშგების ფორმის N15.1 ცხრილის შესაბამისად.“.

2. **მე-8 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„1. ბანკები ვალდებული არიან 2019 წლის 30 ივნისამდე უზრუნველყონ ამ წესის მე-4 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული გამჟღავნების მოთხოვნების ეფექტური შესრულება.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ეროვნული ბანკის პრეზიდენტი

კობა გვენეტაძე

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

Semosavlebis samsaxuris brZaneba

შემოსავლების სამსახურის უფროსის

ბრძანება №1329

2019 წლის 25 იანვარი, ქ. თბილისი

„საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემოტანასთან/საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანასთან და დეკლარირებასთან დაკავშირებული პროცედურების განხორციელების თაობაზე“ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2012 წლის 1 აგვისტოს №12858 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 23 მაისის №303 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის დებულების“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „უ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ვბრძანებ:

1. „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემოტანასთან/საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანასთან და დეკლარირებასთან დაკავშირებული პროცედურების განხორციელების თაობაზე“ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2012 წლის 1 აგვისტოს №12858 ბრძანების პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით დამტკიცებულ „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემოტანასთან/საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანასთან და დეკლარირებასთან დაკავშირებული პროცედურების განხორციელების ინსტრუქციაში“ (დანართი №1) განხორციელდეს შემდეგი ცვლილებები:

ა) მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ე“ ქვეპუნქტი:

„ე) საბაჟო გამშვები პუნქტი „წითელი ხიდიდან“ 2 კილომეტრის რადიუსში განთავსებული სასაზღვრო ინსპექციის პუნქტის (ვეტერინარული, ფიტოსანიტარიული და სურსათის უვნებლობის სასაზღვრო კონტროლის განხორციელების ადგილი) დანიშნულებით.“;

ბ) მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ბ.ე“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ბ.ვ“ ქვეპუნქტი:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

„ბ.ვ) საბაჟო გამშვები პუნქტი „წითელი ხიდიდან“ 2 კილომეტრის რადიუსში განთავსებული სასაზღვრო ინსპექციის პუნქტის დანიშნულებით გადაადგილების შემთხვევაში – „5“.“;

გ) მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) არასრული დახურვის მეშვეობით, როცა ხდება საზღვაო ნავსადგურიდან 12 კილომეტრის რადიუსშიგანლაგებულ საბაჟო საწყობში ან პირიქით, საბაჟო გამშვები პუნქტი „სარფიდან“ 12 კილომეტრის რადიუსში განთავსებული საბაჟო კონტროლის ზონის (მათ შორის ტვირთის X-RAY რენტგენული ინსპექტირების სისტემის განთავსების ადგილის), საბაჟო გამშვები პუნქტი „ყაზბეგიდან“ 15 კილომეტრის რადიუსში განთავსებული საბაჟო კონტროლის ზონის (მათ შორის ტვირთის X-RAY რენტგენული ინსპექტირების სისტემის განთავსების ადგილის), საბაჟო გამშვები პუნქტი „წითელი ხიდიდან“ 2 კილომეტრის რადიუსში განთავსებული სასაზღვრო ინსპექციის პუნქტის დანიშნულებით საქონლის გადაადგილება და მოწმობას ენიჭება დახურვის ნომერი „R“. მოწმობა სრულად იხურება საქონლის მთლიან რაოდენობაზე სასაქონლო ოპერაციის გამოყენების მიზნით საბაჟო დეკლარაციის ან მოწმობის რეგისტრაციისას.“.

2. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

შემოსავლების სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი

ვახტანგ ლაშქარაძე

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

situaciuri saxelmZRvaneloebi / manualebi

მემკვიდრისთვის ბინის უსასყიდლოდ გადაცემის დაბეგვრა საშემოსავლო გადასახადით

1506

ფაქტობრივი გარემოებები

ფიზიკურმა პირმა, რომელიც არ არის მეწარმე ფიზიკური პირი და ამასთან, არ არის დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებული, 2013 წელს შეიძინა 5 ბინა და 5 ავტოფარეხი. 2013 წელს შეძენილი 5 ბინა და 5 ავტოფარეხი ფიზიკურმა პირმა 2014 წელს გადასცა I და II რიგის მემკვიდრეებს უსასყიდლოდ. პირმა აღნიშნული ოპერაცია არ დაბეგრა საშემოსავლო გადასახადით.

შეფასება

სსკ-ის მე-80 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, რეზიდენტი ფიზიკური პირის საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრის ობიექტია დასაბეგრი შემოსავალი, რომელიც განისაზღვრება, როგორც სხვაობა კალენდარული წლის განმავლობაში მიღებულ ერთობლივ შემოსავალსა და ამ პერიოდისათვის ამ კოდექსით გათვალისწინებული გამოქვითვების თანხებს შორის. ამავე კოდექსის მე-100 მუხლის მე-3 ნაწილის „ბ" ქვეპუნქტის თანახმად, ერთობლივ შემოსავალს განეკუთვნება ასევე ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავლები, რომლებიც დაკავშირებული არ არის დაქირავებით მუშაობასთან.

სსკ-ის 102-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საქონლის/მომსახურების უსასყიდლოდ მიწოდებისას ერთობლივ შემოსავალში ასახვას ექვემდებარება ამ საქონლის/მომსახურების საბაზრო ფასი. ვინაიდან აღნიშნული ფიზიკური პირი არ არის მეწარმე ფიზიკური პირი და არც დღგ-ის გადამხდელად არ არის რეგისტრირებული, სსკ-ის მე-9 მუხლის შესაბამისად, განსახილველ შემთხვევაში ქონების ჩუქება არ განიხილება მოგების, შემოსავლის ან კომპენსაციის მიღების მიზნით განხორციელებულ ეკონომიკურ საქმიანობად და ამ ქონების საბაზრო ღირებულება ერთობლივ შემოსავალში ჩართვას არ ექვემდებარება. შესაბამისად, აღნიშნული ქონების ჩუქება არ წარმოშობს საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრის ობიექტს.

დონისძიებები

პირის ქმედებაში საგადასახადო სამართალდარღვევა არ იკვეთება და დამატებითი საგადასახადო ვალდებულების დაკისრება არ ხდება.

- *სიტუაციური სახელმძღვანელო არ ვრცელდება ისეთ შემთხვევებზე, როდესაც დგინდება, რომ ოპერაციის ფორმალური ფორმა გამოიყენება გადასახადებისათვის თავის არიდების მიზნით;*
- *სიტუაციური სახელმძღვანელო დაფუძნებულია 2015 წლის 3 ივნისისთვის მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით.*

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საშემოსავლო გადასახადისგან გათავისუფლება 1511

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ანოტაცია

„საშემოსავლო გადასახადისგან გათავისუფლება“ №1511

სიტუაციური სახელმძღვანელოს თაობაზე

სიტუაციური სახელმძღვანელო არეგულირებს ფიზიკური პირის მიერ უძრავი ქონების რეალიზაციით მიღებული შემოსავლის საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრისგან გათავისუფლების საკითხს.

სიტუაციური სახელმძღვანელოს თანახმად, ფიზიკურმა პირმა საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი ფართობი გაყიდა 2015 წლის თებერვალში. აღნიშნული საცხოვრებელი ფართობი 2014 წლის მაისში რეგისტრირებულია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ, მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკუთრების უფლების აღიარების კომისიის მიერ გაცემული საკუთრების მოწმობის (02.02.2014 წ.) საფუძველზე. ფიზიკური პირი 1998 წლიდან თვითნებურად ფლობდა ზემოაღნიშნულ საცხოვრებელ ფართობს, რაც დაედო საფუძვლად საკრებულოს შესაბამისი კომისიის გადაწყვეტილებას, საკუთრების უფლების აღიარების შესახებ. ამონაწერში საკუთრების უფლების დამადასტურებელ დოკუმენტად მითითებულია 02.02.2014 წლის საკუთრების მოწმობა. ფიზიკურმა პირმა 2016 წლის 1 აპრილს არ წარადგინა საშემოსავლო გადასახადის წლიური დეკლარაცია.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 82-ე მუხლის შესაბამისად, საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრისაგან თავისუფლდება ფიზიკური პირის მიერ 2 წელზე მეტი ვადით საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი ბინის (სახლის) მასზე დამაგრებული მიწით რეალიზაციით მიღებული ნამეტი. ეს უკანასკნელი იანგარიშება როგორც სხვაობა აქტივის მიწოდების ფასსა და მასზე საკუთრების უფლების წარმოშობისას მისი შეძენის ფასს შორის. ხოლო აქტივის საკუთრებაში ფლობის 2-წლიანი ვადა, ამავე მუხლის მე-4 ნაწილიდან გამომდინარე, აითვლება მარეგისტრირებელ ორგანოში საკუთრების უფლების რეგისტრაციის მიზნით საკუთრების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტის შედგენის თარიღიდან. „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, საკუთრების უფლების აღიარება გულისხმობს, შესაბამისი პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში, ფიზიკური პირისათვის მის მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარების წესით საკუთრებაში სასყიდლიანი ან უსასყიდლო ფორმით გადაცემას.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

აღსანიშნავია, რომ საკუთრების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი კომისიის მიერ გაცემულია ზემოაღნიშნული კანონის ამოქმედებამდე (21.09.2007 წლამდე) თვითნებურად დაკავების დადასტურებულ ფაქტზე დაყრდნობით მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე. მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, იმის გათვალისწინებით, რომ საკუთრების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი გაცემულია 02.02.2014 წელს, გადასახადებით დაბეგვრის მიზნებისთვის, საცხოვრებელი ფართობის ფლობის 2-წლიანი ვადა უნდა აითვალოს საკუთრების უფლების მოწმობის შედგენის თარიღიდან, კერძოდ, 02.02.2014 წლიდან.

შესაბამისად, ფიზიკური პირი ვალდებული იყო, 2016 წლის 1 აპრილამდე წარმოედგინა საშემოსავლო გადასახადის წლიური დეკლარაცია და საშემოსავლო გადასახადით დაებეგრა დასახელებული ქონების რეალიზაციით მიღებული ნამეტი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ფიზიკური პირი, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 67-ე მუხლის მე-4 ნაწილის გათვალისწინებით, დაჯარიმდება ამავე კოდექსის 275-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული ჯარიმით.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

kiTxva - pasuxi

კითხვა:

ვისზე ვრცელდება დაგროვებითი საპენსიო რეფორმა?

პასუხი:

რეფორმა ვრცელდება იმ საქართველოს მოქალაქეებზე, გარდა საზღვარგარეთ მუდმივად მცხოვრები საქართველოს მოქალაქეებისა ან საქართველოში მუდმივად მცხოვრებ უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე ან მოქალაქეობის არ მქონე პირებზე, რომლებიც არიან დასაქმებულები ან თვითდასაქმებულები და იღებენ შემოსავალს ამ დასაქმებიდან ან თვითდასაქმებიდან.

კითხვა:

ვისზე არ ვრცელდება დაგროვებითი საპენსიო რეფორმა?

პასუხი:

რეფორმა არ გავრცელდება იმ პირებზე, რომლებიც არ არიან დასაქმებულები.

კითხვა:

ვინ ითვლება დასაქმებულად?

პასუხი:

დასაქმებულად ითვლება ფიზიკური პირი, რომელიც ასრულებს გარკვეულ სამუშაოს იმ ურთიერთობის ფარგლებში, რომელიც რეგულირდება საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობით ან/და უცხო ქვეყნის შრომის კანონმდებლობით .

კითხვა:

ვინ ითვლება თვითდასაქმებულად?

პასუხი:

თვითდასაქმებული არის, ინდივიდუალური მეწარმე, ფიზიკური პირი, რომელიც ახორციელებს ,,მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ საქმიანობას, საქმიანობის იმ ნაწილში, რომელიც არ ექვემდებარება გადასახადის წყაროსთან დაკავებას.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

კითხვა:

ვისთვის არის სავალდებულო საპენსიო შენატანის განხორციელება?

პასუხი:

2019 წლის 1 იანვრიდან საპენსიო შენატანის გადახდა ევალება ყველა დასაქმებულს და მის სასარგებლოდ ყველა დამსაქმებელს და სახელმწიფოს. ამასთან, იმ დასაქმებულ პირს, რომელსაც 2018 წლის 6 აგვისტოს უკვე შეუსრულდა 40 წელი ან მეტი, 2019 წლის 1 აპრილიდან 2019 წლის 31 მაისის ჩათვლით შეეძლება საპენსიო სააგენტოსთვის განცხადებით მიმართვის გზით საპენსიო სქემიდან გასვლა. ასეთ შემთხვევაში მას, ასევე მის დამსაქმებელს და სახელმწიფოს სრულად დაუბრუნდებათ შესაბამისად განხორციელებული საპენსიო შენატანები.

კითხვა:

ვისთვის არის ნებაყოფლობითი შენატანების განხორციელება?

პასუხი:

ნებისმიერი თვითდასაქმებული საპენსიო სქემაში წევრიანდება ნებაყოფლობით. ასევე, საპენსიო სქემაში ნებაყოფილობით შეუძლიათ გაწევრიანდნენ დასაქმებული ქალბატონები, რომლებსაც 2018 წლის 6 აგვისტოს უკვე შეუსრულდათ 55 წელი ან მეტი და დასაქმებული მამაკაცები, რომლებსაც 2018 წლის 6 აგვისტოს უკვე შეუსრულდათ 60 წელი ან მეტი.

კითხვა:

რა მოცულობით და ვის მიერ განხორციელდება საპენსიო შენატანები დასაქმებულის სასარგებლოდ?

პასუხი:

თავად დასაქმებული ახორციელებს შენატანს მისი დაუბეგრავი შემოსავლის 2%-ის ოდენობით. ასევე დამსაქმებელს და სახელმწიფოს დასაქმებულის ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე შეაქვთ დასაქმებულის დაუბეგრავი შემოსავლის 2% თითოეულს.

კითხვა:

რა მოცულობით და ვის მიერ განხორციელდება საპენსიო შენატანები თვითდასაქმებულის სასარგებლოდ?

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

კითხვა:

ვინ არის პასუხისმგებელი საპენსიო სქემის განხორციელებაზე და ადმინისტრირებაზე?

პასუხი:

აღნიშნული მიზნისთვის კანონის საფუძველზე შეიქმნა დამოუკიდებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საპენსიო სააგენტო, რომელიც პასუხისმგებელია დაგროვებითი საპენსიო სქემის განხორციელებაზე, მართვასა და ადმინისტრირებაზე და ორგანიზებულია იმგვარად, რომ მაქსიმალურად უზრუნველყოს მონაწილეთა საპენსიო აქტივების უსაფრთხოება და მათზე გრძელვადიანი საინვესტიციო ამონაგები.

კითხვა:

როგორია საპენსიო სააგენტოს სტრუქტურა?

პასუხი:

საპენსიო სააგენტოს ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს საინვესტიციო საქმიანობის დამოუკიდებლობას საპენსიო შენატანების და საპენსიო განაცემების ადმინისტრირების პროცესებისგან. სააგენტოს ჰყავს სამეთვალყურეო საბჭო, რომელიც უზრუნველყოფს მონაწილეთა ინტერესების დაცვას. საპენსიო აქტივების საინვესტიციო პოლიტიკა ყალიბდება და ხორციელდება დამოუკიდებელი საინვესტიციო საბჭოს მიერ. სააგენტოს უმაღლეს აღმასრულებელ ფუნქციას ახორციელებს სააგენტოს დირექტორი. საინვესტიოციო საქმიანობასთან დაკავშირებული რისკების, აგრეთვე სხვა საოპერაციო რისკების კონტროლს ახორციელებს დამოუკიდებელი რისკის კონტროლის სტრუქტურა, რისკის კონტროლის კომიტეტის, მთავარის რისკის კონტროლის ოფიცრის და შესაბამისი რისკის კონტროლის სამსახურის მეშვეობით.

კითხვა:

დაცულია თუ არა საპენსიო აქტივები?

პასუხი:

საპენსიო აქტივების ინვესტირება შეიძლება მხოლოდ კანონის მოთხოვნათა დაცვით და საინვესტიციო პერიოდში ამონაგების მიღების მიზნით კეთილსაიმედო ფინანსურ ინსტრუმენტებში ინვესტირებით. საპენსიო აქტივების ინვესტირებასთან და მასთან დაკავშირებული საკითხების ზედამხედველობას ახორციელებს საქართველოს ეროვნული ბანკი. საპენსიო აქტივების ინვესტირების პროცესი რისკების კუთხით კონტროლდება დამოუკიდებელი რისკის კონტროლის სტრუქტურის საშუალებით და, სხვაგვარად, აქტივების დაცულობა უზრუნველყოფილია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

კითხვა:

კანონით რამდენად არის დაცული, რომ საპენსიო აქტივების დაბანდება არ მოხდეს არაკეთილსაიმედო ფინანსურ ინსტრუმენტებში?

პასუხი:

საქართველოს კანონი დაგროვებითი პენსიის შესახებ განსაზღვრავს ზოგად ჩარჩოს, რომლის შესაბამისადაც განისაზღვრება, თუ რომელი ტიპის ფინანსურ ინსტრუმენტებში და აქტივებშიᲘ შეიძლება ან არ შეიძლება განხორციელდეს ინვესტირება. საინვესტიციო საბჭო შეიმუშავებს და საპენსიო სააგენტო დაამტკიცებს საინვესტიციო პოლიტიკის დოკუმენტს, რომელიც იქნება სრულ შესაბამისობაში საქართველოს კანონთან დაგროვებითი პენსიის შესახებ.

კითხვა:

როდის არის შესაძლებელი პენსიის გატანა?

პასუხი:

პენსიის გატანა, გამონაკლისი შემთხვევების გარდა, შესაძლებელია მხოლოდ საპენსიო ასაკში, რომელიც მამაკაცების შემთხვევაში წარმოადგენს 65 წელს, ხოლო ქალბატონების შემთხვევაში 60 წელს. ამასთან, ნებისმიერ მონაწილეს უფლება აქვს გადაავადოს პენსიის მიღება მისი საჭიროებებიდან გამომდინარე ან, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, მოითხოვოს საპენსიო თანხის ერთიანად მიღება.

კითხვა:

საპენსიო ასაკში რა ფორმით შეიძლება პენსიის გატანა?

პასუხი:

პენსიის გაცემა შესაძლებელია მოხდეს:

• პროგრამული გაცემის გზით, რაც გულისხმობს დაგროვილი საპენსიო თანხის სიცოცხლის მოსალოდნელ დარჩენილ ხანგრძლივობაზე გაყოფას და ყოველთვიური პენსიის სახით მიღებას;

• ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე დაგროვილი საპენსიო აქტივით სადაზღვევო ანუიტეტური პროდუქტის შეძენის საშუალებით, რაც გულისხმობს მონაწილის მიერ კერძო საპენსიო სადაზღვევო პროდუქტის შეძენას და პენსიის მიღებას სიცოცხლის ბოლომდე;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

• მთლიანი თანხის ერთჯერადი გაცემის გზით. ასეთი მეთოდით გატანა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პირი გაწევრიანდა საპენსიო სქემაში საპენსიო ასაკამდეარაუმეტეს 5 წლით ადრე, ან თუ მონაწილეს მიენიჭება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსი, ან თუ მონაწილე დატოვებს საქართველოს და წარმოადგენს სხვა სახელმწიფოში კანონიერი, მუდმივი ცხოვრების უფლების დამადასტურებელ სათანადოდ დამოწმებულ დოკუმენტს.

კითხვა:

რა მოსდის საპენსიო დანაზოგს მონაწილის გარდაცვალების შემთხვევაში?

პასუხი:

მონაწილის ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე დაგროვილი საპენსიო თანხა წარმოადგენს მონაწილის უპირობო და ხელშეუხებელ საკუთრებას და მისი უფლებები გადაეცემა მონაწილის კანონიერ მემკვიდრეს.

კითხვა:

რა ფორმით შეეძლება მემკვიდრეს პენსიის მიღება?

პასუხი:

გადახდა შეიძლება განხორციელდეს ერთიანად ან საპენსიო აქტივების გადატანით მემკვიდრის ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე, მემკვიდრის არჩევანის შესაბამისად.

კითხვა:

შეეძლება თუ არა მონაწილეს დანაზოგის ნახვა?

პასუხი:

თითოეულ მონაწილეს გაწევრიანებისთანავე შეექმნება ინდივიდუალური საპენსიო ანგარიში, რომლის ნახვა და მონიტორინგი შესაძლებელი იქნება ნებისმიერ დროს ელექტრონული წვდომის საშუალებით ან/და საპენსიო სააგენტოსთვის მიმართვის გზით.

კითხვა:

ვინ არის საპენსიო სააგენტოს მარეგულირებელი?

პასუხი:

ეროვნული ბანკი ახორციელებს საპენსიო სააგენტოს საინვესტიციო საქმიანობის რეგულირებას, ხოლო სამეთვალყურეო საბჭო ახორციელებს საპენსიო სააგენტოს საქმიანობის ზედამხედველობას გარდა საინვესტიციო საქმიანობისა.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

კითხვა:

არის თუ არა მონაწილის საპენსიო აქტივები დაზღვეული დანაკარგისგან?

პასუხი:

საპენსიო აქტივების ღირებულების შემცირების რისკის შემცირების მიზნით, ინვესტიციები განხორციელდება დივერსიფიცირებულად, მხოლოდ კეთილსაიმედო ფინანსურ ინსტრუმენტებში.

კითხვა:

რა ვითარებაში ხორციელდება დროებითი ადმინისტრირების რეჟიმი?

პასუხი:

კანონი ითვალისწინებს ეროვნული ბანკის მიერ საინვესტიციო საქმიანობასთან დაკავშირებულ დროებით მოქმედებას იმ შემთხვევაში, თუ დადგა საპენსიო აქტივების ინვესტირებასთან და მასთან დაკავშირებული საქმიანობის შედეგად მიღებული საპენსიო აქტივების 1%-ზე მეტი დანაკარგი, რომელიც არ არის გამოწვეული საბაზრო პირობების ცვლილებებით.

კითხვა:

რჩება თუ არა არსებული საბაზისო (სოციალური) პენსია?

პასუხი:

არსებული სახელმწიფო პენსია რჩება და მოქმედებს დაგროვებით საპენსიო სქემის პარალელურად, მისგან დამოუკიდებლად და დამატებით.

კითხვა:

როდიდან იწყება დაგროვებით საპენსიო სქემაში შენატანების განხორციელება?

პასუხი:

საპენსიო შენატანების განხორციელება იწყება 2019 წლის 1 იანვრიდან, დაგროვებითი პენსიის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

a u q c i o n i

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ვალდებულების აუქციონის შედეგი

05.02.2019

2019 წლის 5 თებერვალს, ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ვალდებულებების აუქციონზე 40 000 000 ლარის ნომინალური ღირებულების 364-დღიანი ვადიანობის ფასიანი ქაღალდები გაიყიდა.

აუქციონში მონაწილეობა მიიღო ხუთმა კომერციულმა ბანკმა. მოთხოვნამ შეადგინა 87 000 000 ლარი. მინიმალური საპროცენტო განაკვეთი 6.850 პროცენტით, მაქსიმალური 6.900 პროცენტით, ხოლო საშუალო შეწონილი 6.890 პროცენტითგანისაზღვრა.

საქართველოს ეროვნული ბანკის სავალუტო აუქციონის შედეგი

06.02.2019

2019 წლის 6 თებერვალს გამართულ საქართველოს ეროვნული ბანკის სავალუტო აუქციონზე სებ-მა 15 000 000 აშშ დოლარი შეისყიდა. საშუალო შეწონილმა გაცვლითმა კურსმა 2.6497 შეადგინა.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

გამოიწერეთ

გადასახადები

მეწარმეების, სამაღასახადო
ინსპექტორების, აუდიტორების,
ბუღალტრებისა და ყველა მაღამხდელის
უნივერსალური სამამიდო ჟურნალი

ჩვენი რეკვიზიტებია:

მიმღები: შპს 'ბიზნეს ინტელექტი"
მიმღების IBAN ანგარიშის
№ GE67TB332136020100005

მიმღების ბანკი: ს.ს „თიბისი" ბანკი
ბანკის კოდი: TBCBGE22

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com